“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№6 (296)
ივნისი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

გიორგი V ბრწყინვალე

გიორგი V ბაგრატიონი (ბრწყინვალე) ერთ - ერთი ყველაზე გამორჩეული მეფე და რეფორმატორია საქართველოს ისტორიაში. მისი პიროვნება ერთმნიშვნელოვნად დადებით ემოციებს იწვევს ქართველ ხალხში. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც უდავოდ მდიდარია საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებით, გიორგი ბრწყინვალეს პერსონა ალბათ ის მცირედი გამონაკლისია, რომლის მოღვაწეობის შეფასებისას ყველაზე ნაკლები ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს, რადგანაც გიორგი V ბრწყინვალემ ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლო და მონღოლთაგან დაპყრობილი, ეკონომიკურად განადგურებული, პოლიტიკურად დაშლილი, მორალურად და სულიერად შეჭირვებული ქვეყანა, ისტორიული თვალსაზრისით, საკმაოდ მოკლე დროში, მაშინდელი მსოფლიოს ერთ - ერთ ძლიერ, ცნობად და ანგარიშგასაწევ ძალად აქცია.

XIII საუკუნის 20 - იანი წლებიდან მონღოლთა გამოჩენამ მსოფლიო ასპარეზზე რადიკალურად შეატრიალა სამყაროს განვითარების პროცესები. შეიქმნა მანამდე არნახული მსოფლიო იმპერია, რომელიც მოიცავდა ევრაზიის კონტინენტის უმეტეს ნაწილს და წყნარი ოკეანიდან ცენტრალურ ევროპამდე იყო გავრცობილი. მისი დაქვემდებარების ქვეშ აღმოჩნდნენ, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, მაშინდელი სამყაროს პირველხარისხოვანი ცივილიზაციები. უზარმაზარი იმპერიები (ჩინეთის, ხორეზმის) უმოკლეს ხანში განადგურდნენ მონღოლთა შემოსევების შედეგად. მომთაბარეთა შემოსევას საქართველოც ვერ გადაურჩა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ოქროს ხანის კავკასიური სუპერსახელმწიფოს ნაცვლად მივიღეთ სამ ნაწილად გაყოფილი საქართველო (აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, ლიხთ იმერეთის სამეფო და სამცხის სამთავრო), რომელთა კვლავ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, იმდროინდელი საშინაო და საგარეო რეალობიდან გამომდინარე, ბუნდოვან პერსპექტივად ისახებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ მსოფლიო მასშტაბით მაშინ არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც მონღოლებს დაამარცხებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIII საუკუნეში ქართული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი. ამას, უპირველესად, მონღოლ-ილხანთა ბატონობა განაპირობებდა. აქ იგულისხმება როგორც იძულება (ქართული სუვერენის არათავისუფალი ქმედება), ასევე მონღოლების არაინტენსიური ეკონომიკა, სამხედეო მექრთამეობა, არაპროფესიონალიზმი ეკონომიკისა და ქვეყნის მართვის საქმეში. ილხანთა (ჰულაგუიანთა) სახელმწიფოში მოღვაწე ისტორიკოსი, რაშიდ ად დინი აღნიშნავდა, რომ ბასკაკების (მონღოლი გადასახადების ამკრეფები) მიერ გადასახადების აკრეფა უმეტეს შემთხვევაში რამდენჯერმე უკანონოდ ხდებოდა. რაც ინვევდა მოსახლეობის გაღარიბებას. ამ პროცესებში ბასკაკების გარდა ჩაბმული იყო მონღოლური სახელმწიფოებრივი თითქმის მთლიანი ბიუროკრატიული აპარატი, რომლის მნიშვნელოვან სეგმენტს არამონღოლური წარმოშობის მედროვეები შეადგენდნენ, რომელთა სიხარბეც, ხშირ შემთხვევაში, მონღოლებისას აჭარბებდა.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც ქვეყნის მართვის მონღოლური მოდელი სრულიად შეუთავსებელი აღმოჩნდა დაპყრობილი ქვეყნებისათვის და, განსაკუთრებით, საქართველოსათვის. ქართული სახელმწიფო პოლიტიკურადაც და სოციალურ-ეკონომიკურადაც მძიმე განსაცდელში აღმოჩნდა, რადგანაც ქართული ფეოდალური ეკონომიკა პროგრესულ საწყისებზე იყო დაფუძნებული. გადასახადი ადამიანებს კი არა, მინას ედო და, თუ ფუძე მცირდებოდა ან იზრდებოდა, შესაბამისად იცვლებოდა გადასახადიც, რაც გარკვეულწილად არეგულირებდა ეკონომიკურ ურთიერთობებს სახელმწიფოს, ფეოდალებსა და გლეხებს შორის. ამ მოდელისაგან განსხვავებით, მონღოლებმა გადასახადი დაადეს ყველაფერს:, ადამიანებს, საქონელს, მინას, ვაჭრებს, ცხოველებს და, ყველაფერს, რაც ვიზუალურად აღიქმებოდა.

მონღოლთა ბატონობამ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ და მტკიცე ტრადიციად ქცეულ ოჯახურ და ნათესაურ ურთიერთობებზე იქონია უარყოფითი გავლენა. ქართველ საზოგადოებაზე ძალიან მძიმედ მოქმედებდა განსაკუთრებით, ქრისტიანული მორალის მოშლა, მაგალითად, მრავალცოლიანობა, რასაც დემეტრე II (1270-1289) თავდადებულმაც კი ვერ აარიდა თავი. სამეფო ოჯახში არსებული ასეთი მდგომარეობა ცუდ მაგალითად ვრცელდებოდა ზოგადად ქართულ საზოგადოებაში. ყოველივე ამას ემატებოდა, პოლიტიკური ზეწოლა, ინტრიგები, ფეოდალურ სახლებს შორის დაპირისპირება.

დაპყრობილი ქვეყნების, მათ შორის განსაკუთრებულად საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას სამხედრო ბეგარა წარმოადგენდა. ქართველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ილხანთა სახელმწიფოს გაუთავებელ დაპყრობით ომებში, რასაც მაშინდელი ქართული გენოფონდის ყველაზე საუკეთესო ნაწილი ეწირებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებმა არ დაბეგრეს საეკლესიო მიწები, საქართველოს ეკლესია მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამეფო კარი ცდილობდა ეკლესიისათვის ადრე გადაცემული მიწები ჩამოერთმია და ერთგული მოხელეებისთვის გადაეცა, რაც, თავისთავად, იწვევდა დაპირისპირებას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის და ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აისახებოდა დამოუკიდებლობადაკარგული და სამ ნაწილად დაშლილი ქვეყნის მდგომარეობაზე.

მონღოლთა ბატონობის დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა ქართული ქალაქები, რომლებიც სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ და წინამონღოლურ ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამგვარი რეალობა იდგა საქართველოში XIII - XIV საუკუნეების მიჯნამდე, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ტახტი გიორგი V-მ არ დაიკავა – დემეტრე II-ის ვაჟმა. იმ დემეტრე II-ის, რომლის განწირული ბრძოლა ქვეყნის გადარჩენისათვის გმირი მეფის მოწამეობრივი სიკვდილით დასრულდა. დემეტრე II-ის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა ჩვენი ქვეყანის მდგომარეობა, რადგანაც მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მემკვიდრეების უმეტესობა ვერ აღმოჩნდნენ იმ კალიბრის მოღვაწეები, რომელიც მაშინდელ საქართველოს უამრავი პრობლემის გადაწყვეტას სჭირდებოდა.

XIII ს-ის მიწურულს საქართველოში, მონღოლთა პირდაპირი ჩარევის შედეგად, რამდენიმე მეფე ერთად აღმოჩნდა ტახტზე. დემეტრეს უფროსი ძე დავით VIII რამდენჯერმე გამოიძახეს ყაენთან, მაგრამ არც ერთხელ არ გამოცხადდა მასთან, რამაც მონღოლთა სადამსჯელო ექსპედიციების შემოსვლა გამოიწვია საქართველოში. ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ „ვინაიდგან მეფე დავით არ მიენდო თათართა ზაფხულს მთიულეთს იყვის და ზამთარს ქართლს. ზამთარში მთიულეთში შეხიზნული დავითი ქართლში ჩამოდიოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ პერიოდში მონღოლები ქართლში არ შემოიჭრებოდნენ დიდი ძალებით, მცირეს კი თვითონაც გაუმკლავდებოდა. მის მომდევნო ძმას, ვახტანგ III-ს, ქვემო ქართლი ერგო, უმცროს ძმას, 10 წლის გიორგის (შემდგომში გიორგი V) კი თბილისში უნდა ემეფა, ეს დაახლოებით 1299 წლის შემდგომ მოხდა. გიორგის გამეფებაში მისმა ბაბუამ სამცხის მთავარმა ბექა ჯაყელმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, რომელიც უძლიერესი და გავლენიანი ქართველი ფეოდალი იყო. თვითონ გიორგი V აღმოსავლეთ საქართველოს მეფის – დემეტრე II-ის და სამცხის მთავრის და მისი მესამე ცოლის, ნათელა ჯაყელის შვილი იყო. იგი აღიზარდა სამცხეში, მისი პაპის (დედის მამის) სამცხის მთავრისა და მანდატურთუხუცესის ბექა I ჯაყელის კარზე. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი V-ის უკან ძლიერი და გავლენიანი ბექა ჯაყელი იდგა, ქართლი ძირითადად დავით VIII-ს ემორჩილებოდა და გიორგი V რეალურად მხოლოდ თბილისის მეფე იყო.

რაც შეეხება ვახტანგ III-ს, მას ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი დადებითად ახასიათებს, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ მას დავითთან ცალკეული საომარი შეტაკებები ჰქონდა: „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა“ იძულებით შეება დავითსო. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლა მახათას მთასთან მომხდარა. „ძეგლი ერისთავთა“ კი გვამცნობს, რომ, როდესაც ვახტანგმა ილხანებს მიმართა დახმარებისათვის, მას საილხანოში გაჰყვა შალვა ქსნის ერისთავი. ამის საპასუხოდ: „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თვისი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს“. დავითის ლაშქარში შედიოდნენ დვალები, ხადელ-ცხავატელნი და „მთიულნი ქვემონი“. ამ ძალებით დავითი შალვას სამფლობელო ხევს შესევია და მთლიანად მოუოხრებია. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გარდა მთიულეთისა და დვალეთის მოსახლეობისა, დავითს დაუქირავებია მონღოლთა რაზმები, რომლებიც მათ საომარ ბანაკებში: მუხრანში, კახეთსა და შირვანში მდგარან. ეს, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, რომ მეორე მხარე, ანუ შალვა და ვახტანგიც მიმართავენ „სპარსთა“ (მონღოლების) ლაშქარს დახმარებისთვის. ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ შალვა (სინამდვილეში არა მარტო შალვა, არამედ მისი უშუალო სიუზერენ-მოკავშირე ვახტანგ III-ც) ხუთლუშა (ხუთლუშა, ხუტლუღშაჰი) ნოინთან გაქცეულა და მისი დამსჯელი რაზმის წინამძღოლობა უკისრია, ოსთა მთავარ ბაღათართან და მუხრანელ (ანუ მუხრანში მდგომი მონღოლთა ბანაკის მეთაური) ბანთანაღუთთან ერთად.

KINGDOM OF GEORGIA DURING THE REIGN OF KING GEORGE V 1314 - 1346



როგორც ვხედავთ, ამ დაძაბულ და სისხლიან შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში ორივე მხარე (ერთი მხრივ, ვახტანგ III და შალვა, მეორე მხრივ დავითი და მისი მომხრეები), აქტიურად იყენებს უცხო ძალას. ამასთან, ქართველი მემატიანე ცდილობს განაცალკეოს შალვა ქსნის ერისთავი და უფლისწული ვახტან-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

◀ დასაწყისი გვ. 1

გი და მთელი აქცენტი გადააქვს შალვა ერისთავზე და მის „ორგულობაზე“. საბოლოოდ, ვახტანგსა და დავითს შორის გარკვეული შეთანხმება შემდგარა და დავითს ვახტანგისთვის გადაუცია ჯავახეთის საუფლისწულო მამული და სოფელი ალასტანი.

როგორც წესი, შინაომებით დასუსტებული და საგარეო ავტორიტეტშელახული ქვეყანა, ადვილი საკბილო აღმოჩნდა აგრესიული მეზობლებისათვის და ამ სიტუაციაში ქართლის შუაგული – ქალაქი გორი, ოსთა ხელში აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, თავდაპირველად, ოსები, მონღოლთა მითითების შესაბამისად, საქართველოს მეფემ და ქართლის ერისთავებმა – სურამელებმა, გორის მიდამოებში დაასახლეს, მაგრამ შემდეგ, ისარგებლეს რა საქართველოს სამეფოს შიდაარეულობით, ოსებმა თვით ქალაქიც ჩაიგდეს ხელში და ციხეში მყარად გამაგრდნენ. ამიტომ იყო, რომ შემდეგ, დაახლოებით XIV ს-ის 20-იანი წლების შუახანში, გიორგი ბრწყინვალეს სამი წელი დასჭირდა გორის ციხესიმაგრის ოსთაგან გამოსახსნელად. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ახალი მტერი – თურქ-ოსმალები გამოჩნდნენ. მათი ერთ-ერთი მხედართმთავარი აზატ-მოსე (სავარაუდოდ „აზატ-მუსა“) XIII ს-ის მიწურულს ბექა ჯაყელს, სამცხის სპასალარს, სასტიკად დაუმარცხებია.

პერიოდულად, მონღოლები ყუტლუღშაჰ (ხუთლუშა) ნოინს გზავნიდნენ მთიულეთისა და ქართლის მოსარბევად, რადგან დავით VIII მონღოლებს არ შეურიგდა. თუმცა თუ ერთ სომხურ ანდერძმინაწერს ვენდობით, 1304 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს მეფედ კვლავ დავითია დასახელებული. შესაძლოა, ეს იმაზე მეტყველებდეს, რომ ყაზან-ყაენის გარდაცვალების შემდეგ (1304 წლის დასაწყისი), დავითსა და მონღოლებს შორის გარკვეული შეთანხმება უნდა შემდგარიყო.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ (შინაომებმა, საგარეო აგრესიის დამძიმებამ, ეკონომიკურმა გაჭირვებამ), ქვეყანაში შიმშილობა გამოიწვია. ამ ყველაფერს ემატებოდა მონღოლთა საგარეო ლაშქრობებში ქართული ჯარის და მეფის აუცილებელი მონაწილეობა. უფრო მეტიც, ქართველები, ყოველთვის, ილხანთა ლაშქრის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ ლაშქრობებს კი უამრავი სიცოცხლე ეწირებოდა. ჟამთააღმწერლის სიტყვით: „მოსწყდეს ურიცხვი თათარი და ქართველნი“. ყაზან-ყაენის მომდევნო ყაენმა ოლჯაითუ-ხუდაბენდემ (1304-1316) გადაწყვიტა კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე გილანი დაემორჩილებინა. ამ მიზნით, 1306 წელს ურდოში დაიბარეს სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი და საქართველოს მეფე ვახტანგ III (დავითი, ჩანს, კვლავ „განდგა“ მონღოლებისგან). ოლჯაითუმ მონღოლთა ლაშქარი ოთხ ნაწილად გაყო, ვახტანგ III კი თავის ამალაში დატოვა. ბრძოლა სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ბრძოლაში დაიღუპა მონღოლთა მთავარსარდალი (მთავარი ემირი) ყუტლუღშაჰი. მისი ადგილი კი დაიკავა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილმა ჩობან ნოინმა. ქართველებს შორის თავი უსახელებიათ ვახტანგ III-ს, ბექა ჯაყელს, გამრეკელ-ჯავახიშვილს. გილანი მანამდე მონღოლებს არ ემორჩილებოდა და დიდგვაროვანი ემირები, რომელთაც დასჯა ემუქრებოდათ, იქ აფარებდნენ თავს.

ამგვარად, გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ილხანებისათვის ამ მხარის დამორჩილება. ქართველებს გილანში კიდევ ერთი სიძნელე გადაელობათ წინ. ერთ-ერთი უკან დახევისას, იმ ვაკეზე მოუწიათ გავლამ, სადაც ბრინჯი ყოფილა დათესილი და ღამით წყალი მიეშვათ. ამის გამო, წერს ჟამთააღმწერელი, ისეთი „ლამი შექმნილიყო, რომელ ვერცა ცხენი და ვერცა ქუეითი ვერ გაიარდა“. გილანისათვის ბრძოლაში იმდენი ქართველი დაიღუპა, რომ ზოგიერთი ოჯახი, საერთოდ, უმემკვიდრეოდ დარჩენილა.

როგორც ჩანს, ქართველთა ეს სიმამაცე და თავგანწირვა მონღოლი ყაენების მოწონებას იმსახურებდა. მაგალითად, 1303 წელს, საახალწლო წვეულებაზე, მონღოლ წარჩინებულთა შემდეგ, პირველ რიგში საქართველოს მეფეა დასახელებული. საახალწლო წვეულება სამი დღე გაგრძელდა: მისი უმაღლესობის ემირები, სახელმწიფოს ვეზირები, საქართველოს, რუმის, სომხეთის (კილიკიის) ქვეყნის სულთნები, სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები, რიგრიგობით, თავისი წოდებისდა მიხედვით, მიართმევდნენ ყაენს საჩუქრებს.

1308 წელს კიდევ ერთხელ გამწვავდა ურთიერთობა „ოქროს ურდოსა“ და ილხანებს შორის. ამ ორი მონღოლური სახელმწიფოს მეტოქეობის ძირითადი საბრძოლო ხაზი კავკასია-საქართველოზე გადიოდა, რამაც არა ერთგზის დაუზარალა ჩვენი ქვეყანა. ილხანთა სასაზღვრო, საყარაულო ჯარის ნაწილები ოქროს ურდოს ყაენის – თოხთას ჯარებს შეეჯახა. ილხანთა ნაწილებმა დიდი ზარალით დაიხიეს უკან. მათ დასახმარებლად ილჯაითუ ყაენმა ჩობან ნოინი გაგზავნა 10 000 მეომრის თანხლებით. სხვა სპარსელი ავტორების ცნობით, 1308 წლის 2 აგვისტოს, ჩობანმა საქართველოზე გაიარა, დარუბანდს მიაღწია და ნოემბრის დასაწყისში საქმე ილხანთა სასარგებლოდ მოაგვარა. მოვლენებს გავუსწრებთ და აქვე აღვნიშნავთ, რომ მეტოქეობა ოქროს ურდოსა და ირანის მონღოლებს შორის ამით არ დამთავრებულა. დაახლოებით 1318/19 წელს ოქროს ურდოს ახალმა ყაენმა უზბეკმა (1312-1340), კვლავ დაარღვია ილხანთა საზღვრები და მდინარე მტკვრამდე მოაოხრა არანი (რანი), სადაც აბუ-საიდ ყაენის ჯარი იდგა. ჩობან ნოინი ამჯერადაც ყაენის დასახმარებლად 20 000 მეომრით გაემართა. მაჰმუდ ფარვანეს წინააღმდეგ მოწყობილ ერთწლიან ლაშქრობაში (1315–1316 წწ), რომელსაც ჩობან ნოინი მეთაურობდა და რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ლაშქრობის დამთავრების შემდეგ გიორგი საქართველოში დაბრუნებულა. გიორგი V-ის ჩობანთან ურთიერთობის შესახებ აღნიშნავს არაბი ენციკლოპედისტი ალ-უმარი (1301-1349). მისი სიტყვებით: „იგი (ჯუბანი/ჩობანი) იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის. მოუხმობდა (მეფე) მას (ჩობანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად ბარტილმა, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის და უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“.

1316 წლის 16 დეკემბერს ოლჯაითუ ყაენი გარდაიცვალა, ხოლო 1317 წ. მისი 12 წლის ვაჟი, აბუსაიდი გაყაენდა. აბუსაიდის მცირეწლოვნობის გამო ილხანთა სახელმწიფოს გიორგი V-ის მეგობარი ჩობანი განაგებდა. ამ ამბების გაგების შემდეგ გიორგი ურჭირო იყო ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება და არა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების გაგრძელება, რასაც შეიძლება კატასტროფა მოჰყოლოდა საქართველოსათვის. ამიტომ გიორგი მეფემ ყაენს და ჩობან ნოინს დაუჭირა მხარი, სამაგიეროდ მხარდაჭერა ჩობანისგანაც მიიღო ქართველმა მეფემ.

გიორგიმ დაიწყო ქვეყნის ძირითადი თემის – ქართლის გაჭირვებათა მოგვარებით. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გიორგიმ გაატარა საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ ოსთა რაზმების წინააღმდეგ გალაშქრება იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII ს-ის 30-იან წლებში მონღოლთა ხელშეწყობით გახშირდა ოსთა თარეში შიდა ქართლში. „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად, და რბევად, და ტყეუევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა... და დაწვეს გორი სრულიად“. ქართველები იბრძოდნენ ოსთა უკუსაგდებად, მაგრამ, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მხოლოდ „მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განახსნა და აღფხურნა“ ისინი. გორის აღებას სამ წელს მონდომებიან

გიორგი V ბრწყინვალე

ვ.ჟაკო. ძველი თბილისი

რის ოსთაგან გამოსახსნელად. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ახალი მტერი – თურქ-ოსმალები გამოჩნდნენ. მათი ერთ-ერთი მხედართმთავარი აზატ-მოსე (სავარაუდოდ „აზატ-მუსა“) XIII ს-ის მიწურულს ბექა ჯაყელს, სამცხის სპასალარს, სასტიკად დაუმარცხებია.

პერიოდულად, მონღოლები ყუტლუღშაჰ (ხუთლუშა) ნოინს გზავნიდნენ მთიულეთისა და ქართლის მოსარბევად, რადგან დავით VIII მონღოლებს არ შეურიგდა. თუმცა თუ ერთ სომხურ ანდერძმინაწერს ვენდობით, 1304 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს მეფედ კვლავ დავითია დასახელებული. შესაძლოა, ეს იმაზე მეტყველებდეს, რომ ყაზან-ყაენის გარდაცვალების შემდეგ (1304 წლის დასაწყისი), დავითსა და მონღოლებს შორის გარკვეული შეთანხმება უნდა შემდგარიყო.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ (შინაომებმა, საგარეო აგრესიის დამძიმებამ, ეკონომიკურმა გაჭირვებამ), ქვეყანაში შიმშილობა გამოიწვია. ამ ყველაფერს ემატებოდა მონღოლთა საგარეო ლაშქრობებში ქართული ჯარის და მეფის აუცილებელი მონაწილეობა. უფრო მეტიც, ქართველები, ყოველთვის, ილხანთა ლაშქრის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ ლაშქრობებს კი უამრავი სიცოცხლე ეწირებოდა. ჟამთააღმწერლის სიტყვით: „მოსწყდეს ურიცხვი თათარი და ქართველნი“. ყაზან-ყაენის მომდევნო ყაენმა ოლჯაითუ-ხუდაბენდემ (1304-1316) გადაწყვიტა კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე გილანი დაემორჩილებინა. ამ მიზნით, 1306 წელს ურდოში დაიბარეს სამცხის მთავარი ბექა ჯაყელი და საქართველოს მეფე ვახტანგ III (დავითი, ჩანს, კვლავ „განდგა“ მონღოლებისგან). ოლჯაითუმ მონღოლთა ლაშქარი ოთხ ნაწილად გაყო, ვახტანგ III კი თავის ამალაში დატოვა. ბრძოლა სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ბრძოლაში დაიღუპა მონღოლთა მთავარსარდალი (მთავარი ემირი) ყუტლუღშაჰი. მისი ადგილი კი დაიკავა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილმა ჩობან ნოინმა. ქართველებს შორის თავი უსახელებიათ ვახტანგ III-ს, ბექა ჯაყელს, გამრეკელ-ჯავახიშვილს. გილანი მანამდე მონღოლებს არ ემორჩილებოდა და დიდგვაროვანი ემირები, რომელთაც დასჯა ემუქრებოდათ, იქ აფარებდნენ თავს.

ამგვარად, გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ილხანებისათვის ამ მხარის დამორჩილება. ქართველებს გილანში კიდევ ერთი სიძნელე გადაელობათ წინ. ერთ-ერთი უკან დახევისას, იმ ვაკეზე მოუწიათ გავლამ, სადაც ბრინჯი ყოფილა დათესილი და ღამით წყალი მიეშვათ. ამის გამო, წერს ჟამთააღმწერელი, ისეთი „ლამი შექმნილიყო, რომელ ვერცა ცხენი და ვერცა ქუეითი ვერ გაიარდა“. გილანისათვის ბრძოლაში იმდენი ქართველი დაიღუპა, რომ ზოგიერთი ოჯახი, საერთოდ, უმემკვიდრეოდ დარჩენილა.

როგორც ჩანს, ქართველთა ეს სიმამაცე და თავგანწირვა მონღოლი ყაენების მოწონებას იმსახურებდა. მაგალითად, 1303 წელს, საახალწლო წვეულებაზე, მონღოლ წარჩინებულთა შემდეგ, პირველ რიგში საქართველოს მეფეა დასახელებული. საახალწლო წვეულება სამი დღე გაგრძელდა: მისი უმაღლესობის ემირები, სახელმწიფოს ვეზირები, საქართველოს, რუმის, სომხეთის (კილიკიის) ქვეყნის სულთნები, სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილები, რიგრიგობით, თავისი წოდებისდა მიხედვით, მიართმევდნენ ყაენს

მან კვლავ საქართველოზე გაიარა. როგორც ჩანს, იგი ზურგში მოექცა მტერს. უზბეკის ჯარი იძულებული გახდა, უკან დაეხია. 1324 წელს ჩობანმა შური იძია უზბეკის ამ ლაშქრობის გამო. იმჟამადაც მისმა მარშრუტმა საქართველოზე გაიარა, სხვა ემირებთან ერთად, ჩობანი დარუბანდს მიადგა და მდინარე თერგის ნაპირებამდე მოაოხრა უზბეკის სამფლობელო. ჩობანის მარშრუტი რომ ყოველთვის საქართველოზე გადიოდა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო. საქართველოს მეფეებს, რომლებიც ჩობანთან კარგ, ზოგჯერ კი, კეთილმოყვარულ ურთიერთობაშიც იმყოფებოდნენ, ალბათ, სათანადო წვლილი შეჰქონდათ ამ ლაშქრობათა წარმატებით დასრულებაში. გარდა სურსათისა, ჩობანი საქართველოში, ალბათ, გამბედავი და ერთგული მეომრებითაც მარაგდებოდა.

1302 წელს ყაზან ყაენმა საქართველოს მეფედ ვახტანგ III დაამტკიცა, რომელიც რეგულარულად მონაწილეობდა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ მონღოლთა ლაშქრობებში და, საბოლოოდ, 1308 წელს ლაშქრობაში გარდაიცვალა. იგი დმანისში დაკრძალეს.

ვახტანგ III-ის გარდაცვალებისას გიორგი V უკვე სრულწლოვანი იყო. ბექა ჯაყელმა იგი ირანში გაგზავნა ილხანთა სახელმწიფოს პირველ ვაზირ ჩობანთან, რომელთანაც სამცხის მთავარს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ჩობანმა გიორგი ოლჯაითუ ყაენს წარუდგინა მეფედ ხელახლად დასამტკიცებლად, მაგრამ ყაენმა გიორგი მთავარ მეფედ არ დამტკიცა, არამედ მზრუნველად და „საქმის მოურავად“ დაუნიშნა მთავარ მეფედ გამოცხადებულ დავით VIII–ის მცირეწლოვან ვაჟს გიორგი VI-ს. ეს შეიძლება ყაენმა დავით მეფის მოთხოვნით გააკეთა. 1311 წელს დავით VIII გარდაიცვალა. მონღოლებმა, როგორც წერს ჟამთააღმწერელი, „დაუტევეს ნაცვლად მისა ძე მისი მცირე გიორგი, ორ წელ მეფე ქმნული“. 1311 წლის ერთ დოკუმენტში საქართველოს მეფედ მოხსენიებულია აგრეთვე დიმიტრი ვახტანგის ძე. როგორც ჩანს, გიორგი V–ს, დემეტრე თავდადებულის ძეს, როგორც აქტიურსა და ენერგიულ პიროვნებას, ოლჯაითუ ყაენი არ აძლევდა საშუალებას ქვეყნის მმართველობას ჩასდგომოდა სათავეში. მას უფრო აწყობდა მცირეწლოვანი ან უმნიშვნელო პიროვნება ჰყოლოდა ქვეყნის სათავეში, ხოლო ქვეყანა დაქუცმაცებული ყოფილიყო. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მეფეა: გიორგი V, გიორგი VI, დიმიტრი ვახტანგის ძე. ასევე, სამცხე ცალკე სამთავროდაა გამოყოფილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მემკვიდრეები ეცილებიან ერთმანეთს მეფობას. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს „მრავალმეფიანობას“ უწოდებენ. მეფის ხელისუფლების ამგვარი დანაწევრება (მრავალმეფიანობა) ასუსტებდა საქართველოს წინააღმდეგობის უნარს და საილხანო კარი ამას ხელს უწყობდა, რადგანაც თვითონაც უკვე დასუსტებულ ილხანთა სახელმწიფოს ინტერესებში არ შედიოდა მისი ვასალი ზედმეტად გაძლიერებულიყო და პერსპექტივაში დამოუკიდებლობაზე ეფიქრა. გიორგი V ხშირად იმყოფებოდა ურდოში და იძულებული იყო მონღოლთა ლაშქრობებში მიეღო მონაწილეობა. ამავე დროს გიორგი თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო კონტაქტებს ამყარებდა საილხანის უმაღლეს მმართველ წრეებში. ამ პერიოდში გიორგი V-მ მონაწილეობა მიიღო აჯანყებული რუმის გამგებლის,

დოში ჩავიდა. ჟამთააღმწერლის თქმით, „განიხარა ჩოფან და შეიტკბო (გიორგი) ვითარცა შვილი, და მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი ბექასანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩობანმა გიორგის უფლება მისცა, რომ გაეერთიანებინა ყოველი საქართველო, მოესპო მრავალმეფობა, თუ მრავალმთავრობა და განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება. ამ ეტაპზე ილხანების სახელმწიფოს უკვე აღარ აწყობდა დაქუცმაცებული საქართველო. ახლა მათ ინტერესებში შედიოდა ერთიანი საქართველო, რომლის მეფე პასუხისმგებელი იქნებოდა მთელი სამეფოს ხარკზე და მოლაშქრეობაზე. ჩობანისა და გიორგის „მეგობრობა“, ცხადია, პოლიტიკურ ანგარიშიანობას ემყარებოდა. ეს მეგობრობა ორივეს პოლიტიკურ მიზნებს პასუხობდა. ამ პერიოდში ილხანთა სახელმწიფოს ჯარი უკვე აღარ წარმოადგენდა ოდინდელ უძლეველ ძალას და რეგიონში ქართული ჯარი უკვე მნიშვნელოვან სამხედრო ფაქტორს წარმოადგენდა და მონღოლი მმართველებისათვის ის ერთგვარ საიმედო ძალას წარმოადგენდა.

ურდოდან მობრუნებული გიორგი, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, თბილისში აკურთხეს მეფედ 1318 წელს. ეს იყო გიორგის ხელმეორედ გამეფება, ახლა უკვე ერთპიროვნულად.

გიორგი V-ის მეფობა აღსავსეა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით. მის მეფობაში აღდგენილ იქნა საქართველოს ერთიანობა და საერთაშორისო ავტორიტეტი, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, გამოცოცხლდა ქვეყნის ეკონომიკა, განვითარდა საქალაქო ცხოვრება და კულტურული საქმიანობა, განდევნილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოხიზნული მოძალადენი. და, რაც მთავარია, გადაგდებულ იქნა მონღოლთა ბატონობის უღელი, აღდგა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები და სხვა. ყოველივე ამის გამო გიორგი V-ის მოღვაწეობას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა როგორც იმდროინდელმა საზოგადოებამ, ისე მომდევნო თაობებმა, მისი ქება ისმის როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში.

ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, რომელიც მოესწრო გიორგი V-ის მეფობას, მონღოლთა ბატონობის გადავარდნას, გიორგის მეფობის ისტორიაც დაწერა, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია და აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნის მას. ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი იყო „უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამთა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“. იგივე ისტორიკოსი გიორგის გამეფებასთან დაკავშირებით წერს: „და იწყო მთიებმან აღმოჭვრვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისად თქმად“. იგივე და მომდევნო ხანის ისტორიკოსები უწოდებდნენ მას ბრწყინვალეს, დიდს, სახელგანთქმულს, წარჩინებულს. ჟამთააღმწერელი გიორგის მოღვაწეობის აღწერას მისი გამეფების აღნიშვნაზე წყვეტს და ამ მეფის საქმიანობის დასახასიათებლად „ქართლის ცხოვრება“ ვერ გვეხმარება, მაგრამ შემორჩენილი ქართული ფრაგმენტული მასალები და უცხოელ ავტორთა ცნობები საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ბრწყინვალე მეფის ყველა გადადგმული ნაბიჯი განპირობებული იყო ხასიათის სიმტკიცით, მიზანსწრაფვით, საქმით და არა სიტყვით.

გიორგი V-ის ტახტზე ასვლა დაემთხვა ილხანთა სახელმწიფოს გართულებულ მდგომარეობას. მონღოლთა ვრცელ სახელმწიფოში იყო აჯანყებები, როგორც დაპყრობილი ხალხების, ასევე პროვინციების მმართველების. შელახული იყო მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც. ილხანთა სახელმწიფოს თავს ესხმოდნენ ოქროს ურდოს ყაენი და ეგვიპტის სულტანი. გიორგი V-ის მეცადინეობით საქართველოში მონღოლთა მხოლოდ 10 000-იანი ლაშქარი დარჩა და ისიც საზღვრების დასაცავად. აღსანიშნავია, რომ, ამავე დროს, საქართველოს ხასობა ჰქონდა მოპოვებული, რაც ქართველ მეფეს უფლებას აძლევდა, სამონღოლო ხარკი თვითონ აეკრიფა თავისი მოხელეებით. ამის შედეგად ქვეყანა დაცული იყო მონღოლთა საგადასახადო უწყების მოხელეთა თვითნებობისაგან. მონღოლი ბასკაკების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ხარკის აკრეფა უფრო მარბიელ ლაშქრობას ჰგავდა. ამიერიდან ბასკაკები საქართველოში აღარ იქნებოდნენ, რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი შეღავათი იყო. ეტაპობრივად ყალიბდებოდა მონღოლთა ბატონობის გადაგდების პირობები. მაგრამ გიორგი მეფემ სწორად განსაზღვრა, რომ პირველ რიგში საქართველები, რის შემდეგაც მთლიანად გაუწმენდიათ შიდა ქართლი. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი მეფემ დაიკავა და გაამაგრა ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალი გზებიც და ასე „დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან“. გიორგიმ ოსები განდევნა დარიალის იქეთა ხეობებსა და ველებში და დიდი ხნით დაუკარგა მათ სურვილი დაპატრონებოდნენ შიდა ქართლის ტერიტორიას.

ნებისმიერი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება მოითხოვდა მეფის ხელისუფლება დაცული ყოფილიყო სეპარატისტულად განწყობილი დიდი ფეოდალური სახლების ცენტრიდანული მისწრაფებებისაგან. ფეოდალთა გარკვეული ნაწილის ინტერესებში არ შედიოდა ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობა. არადა ამის გარეშე მონღოლთა უღლის გადაგდებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გიორგი მეფე იძულებული გახდა, უკიდურესი ზომებისთვის მიემართა. ცნობილია, რომ ილხანთა ყაენები ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ კიდეც ქართველი მეფეების ურჩ ერისთავებსა და მთავრებს. ახლა კი, რადგან ჩობან ნოინის კეთილგანწყობილება მოპოვებული ჰქონდა გიორგის, თან ილხანთა სახელმწიფოში შინაური აშლილობა იყო. მეფემ ისარგებლა ამით და ის ერისთავები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეფეს, კერძოდ, „ჰერ-კახთა და სომხეთის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგნენ, კახეთს ცივზედ მოიწივნა და ამოსწყვიტა“. ამ ზედმეტად მკაცრი, რადიკალური, მაგრამ აუცილებელი ქმედებით გიორგი V-მ ცენტრალური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გააძლიერა.

პარალელურად მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთიანების პროცესიც. თავიდანვე გიორგი მეფის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საქმეს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა წარმოადგენდა. საქართველო ოფიციალურად სამ ნაწილად იყო გაყოფილი. 1259 წელს მეფე დავით ნარინი მონღოლებს აუჯანყდა და იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. შეიქმნა ლიხთ იმერეთის სამეფო, რომლის დედაქალაქი ქუთაისი იყო. დავით ნარინმა ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სამეფო რეზიდენციად აქცია და ქუთაისი და ლიხთიმერეთის სამეფო წყნარი ოკეანედან კარპატებამდე თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა თავისუფლების კუნძულად მონღოლური ბატონობის უზარმაზარ ოკეანეში. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს აქტიურ დამკვიდრებას ტერმინი „იმერეთი“. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა - და ამიერიდან იწოდებოდა დავით და ამას ქვემოთნი მეფენი იმერთა მეფედ და არღ არა აფხაზთა.“ ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქის ფუნქციას 1329 წლამდე ასრულებდა, ვიდრე გიორგი V ბრწყინვალემ საქართველო არ გააერთიანა.

დასავლეთ საქართველოში XIV საუკუნის პირველ მეოთხედში ტახტისთვის ბრძოლა წარმოებდა დავით რუსუდანის ძის შვილებს – კონსტანტინესა (1293-1327) და მიქელს (1327-1329) შორის. 1327 წელს გარდაიცვალა ლიხთ-იმერეთის მეფე დავით VI ნარინის ვაჟი კონსტანტინე I (1293-1327). მას გამეფებისთანავე ეცილებოდა ტახტს ძმა – მიქელი. ახლა მან, როგორც იქნა, აისრულა სურვილი და მეფედ ეკურთხა, მაგრამ მხოლოდ ორი წელი იმეფა, 1329 წელს გარდაიცვალა. მემკვიდრე დარჩა მცირეწლოვანი უფლისწული ბაგრატი. ვიდრე მასზე გავლენის მოპოვების მიზნით არეულობა დაიწყებოდა, გიორგი V-მ დაასწრო, ლაშქრით იმერეთში გადავიდა და ქუთაისი დაიკავა. ვახუშტის გადმოცემით „მაშინ ბაგრატ ვერღარა წინამდგომი და შემჭირვებული... შეევედრა მეფეს, არ მოეკლა და არ დაეპატიმრებია იგი, მიეცა სარჩო“, სამაგიეროდ იმერეთის მეფე სრულ მორჩილებას უცხადებდა მას. გიორგისათვის მისაღები აღმოჩნდა ეს პირობები და აღუთქვა მათი შესრულება. „მსმენელი პირისა ამისა გამოვიდა ბაგრატ და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „ხოლო გიორგი მეფემან აღიხუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი, დასხნა ერისთავნი თვისნი“., ხოლო ბაგრატი თან წამოიყვანა. გიორგის სწორი სამხედრო და დიპლომატიური ქმედებების შედეგად ორმეფობა მოისპო და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღდგენილ იქნა.

ორმეფობა კი მოისპო, მაგ-

→

←

რამ სამცხის სამთავრო დამოუკიდებლობას (ხასინჯუს) ინარჩუნებდა. სამცხის საკითხის გადაწყვეტა ზედმიწევნით დელიკატურ მიდგომას მოითხოვდა. გიორგი V შესაფერ დრომდე ერიდებოდა დედულეთისა და აღმზრდელ მესხეთზე ძალის გამოყენებით ბიძა სარგის II ჯაყელისათვის ხელისუფლების ჩამორთმევას. გიორგიმ მოახერხა და მშვიდობიანად იქნა შემოერთებული სამცხეც. 1334 წელს გიორგი V სამცხეში ჩავიდა და თვითვე დაადგინა სამცხის მთავრად გარდაცვლილი მთავრის, სარგისის ძმა ყვარყვარე. ეს უკვე ნიშნავდა მეფის უზენაესი უფლების აღდგენას სამცხეზე, მის დაბრუნებას საქართველოს მონარქიის ფარგლებში.

ყველა ზემოთხსენებული სამხედრო და პოლიტიკური საკითხი გიორგი V - ის მიერ მინიმალური დანაკარგებით იქნა მიღწეული. მოთარეშე ოსთა განდევნისა, საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა მონღოლთა ბატონობის მოცილებისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხი.

მწვავე ბრძოლები და ურთიერთთავდასმები ყოფილა ქსნისა და არაგვის საერისთაოთა მოსახლეობას შორის. ერთ-ერთი შეტაკების დროს ცხავატელთათვის, გარდა „წვრილი ერის“, თვრამეტი „თავადი ხევისბერი“ დაუხოციათ. ხშირი იყო მეკობრეობა, საქონლისა და ნივთების გატაცება და სხვა.

მთაში არსებული უწესრიგობის მიზეზად „ძეგლის დადებაში“ დასახელებულია, ერთი მხრივ, „ულუსობა“ (მონღლთა ბატონობის გავლენა), მეორე მხრივ – წერილობითი კანონების უქონლობა და სასჯელთა სიმსუბუქე, რადგან მთის საზოგადოებრივი წყობილება ჩამორჩებოდა ბარისას, ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების გადმონაშთები და, ამდენად, ბარში მოქმედი კანონები არ გამოდგებოდა მთისათვის, ამიტომ გიორგი მეფემ გადაწყვიტა, ადგილზე გაცნობოდა ვითარებას და მთის საზოგადოებისათვის შესაფერი სამართლის წიგნი შეედგინა.

სწორედ ამ მიზნით, გიორგი მეფე წავიდა მთიულეთში დიდი ამალით. თბილისიდან გამგზავრებული მეფე და მისი ამალა არაგვის ხეობას აუყვნენ და ჟინვალის სამეფო საზაფხულო სასახლეში მისულან, იქიდან ხადა-ცხაოტში ასულან, შემდეგ ხევში გადავიდნენ და დარიალამდის მივიდნენ. მობრუნებულნი ლომისაზე გავლით ცხრაძმის ხევში ჩასულან და მუხრანში სამეფო სასახლეში გამოვლით თბილისში დაბრუნებულან.

გიორგი მეფე ადგილზე გაეცნო ვითარებას, ესაუბრა მეფის მოხელეებსა და მოსახლეობის წარმომადგენლებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღგენას ხელი შეუწყო ილხანთა სახელმწიფოში დაწყებულმა არეულობამ. 1327 წელს აბუსაიდ ყაენმა მოაკვლევინა თავისი მეურვე და საყაენოს ფაქტობრივი გამგებელი გიორგი V-ის მეგობარი, ემირი ჩობანი თავისი ორი შვილითა და მომხრეებით. ჭკვიანი და ძლიერი ხელისუფალის დაღუპვამ დააჩქარა ილხანთა სახელმწიფოს კიდევ უფრო დაქვეითება და დაშლა. ახალგაზრდა და სუსტმა პოლიტიკოსმა აბუსაიდ ყაენმა ველარ შეძლო უკუსვლის შეჩერება. 1335 წელს აბუსაიდის გარდაცვალების შემდეგ ილხანთა იმპერიაში სრული ანარქია დაიწყო და ჰულაგუ ყაენის მიერ შექმნილი ერთ დროს უძლიერესი ილხანთა სახელმწიფო ფაქტობრივად ერთმანეთის მონინააღმდეგე რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა.

ამ ფონზე შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა გიორგი V-მ. მან ხარკი შეუწყვიტა მონღოლებს და მონღოლთა ჯარი საქართველოდან განდევნა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალემ „განახსნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა“. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც გამოყენებული იყო როგორც დიპლომატიური თუ მშვიდობიანი, ისე ძალისმიერი საშუალებანი (ეს პროცესი გრძელდებოდა 1327-1335 წლებში). ჩინგიზ ყაენის დროიდან მონღოლთა იმპერიის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა მონღოლთა ბატონობიდან რომელიმე დაპყრობილი ქვეყნის განთავისუფლებისა და, რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა ამას თავისი დიდი ხელმწიფის მეთაურობით დიდი სამხედრო შეტაკებებისა და მსხვერპლის გარეშე მიაღწია. ეს იყო ბრწყინვალე სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური აქტი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი ძალზედ მაღალ დონეზე აიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIV ს-ის 30-40-იან წლებში მონღოლებმა მოაწყეს რამდენიმე ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობის აღდგენის მიზნით, მაგრამ მათი ქმედებები წარმატებით არ დასრულებულა.

მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობის შედეგად საქართველოში უკიდურესად დაკნინებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, რაც უარყოფითად აისახა საქართველოს ცალკეული კუთხეების ცხოვრებაზე და ამ პროვინციების ურთიერთობებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან. საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ მოსაგვარებელი რნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, არაგვისა და თერგის ხეობების საკითხი. მთაში მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო სახელმწიფოს გავლენა და ფეოდალური წყობილება. მთიელები უარს ამბობდნენ ფეოდალურ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებაზე, მათ შორის, ხშირად სალაშქრო ვალდებულებებზეც, ფიზიკურად უსწორდებოდნენ მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებს: ერისთავებს, გამგებლებს, ხევისთავებს, ციხისთავებს და სხვა. მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო ცალკეული პირები, არამედ ხშირად მთელი „სოფელი“, მთელი „ხევი“ და მთელი „ქვეყანაც“. როგორც ჩანს ადგილი ჰქონდა აჯანყებებსაც სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. გიორგი მეფის მიერ მთიელებისთვის დაწერილ სამართლის წიგნში – „ძეგლის დადებაში,“ აღნიშნულია, – მთაში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება, და მრავალფეროვანი ულუსობა“. განსაკუთრებით

მატიანე. მონღოლები

მან მთიულეთიდან თან ჩამოიყვანა თემის ერისთავები და ხევისთავები. ხევისბერები და ჰეროვანნი (ერის მოსახელეობის წარმომადგენლები). მეფემ მოიწვია სამეფო დარბაზის საგანგებო საკანონმდებლო კრება, რომელმაც მიიღო მთიულთათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი – „ძეგლის დადება“. იგი შედგება პრეამბულისა და 46 მუხლისაგან. საოჯახო და სამოქალაქო. სამართალს 4 მუხლი ეთმობა, დანარჩენი სისხლის სამართალია. ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის დანაშაული და მათი შესაბამისი სასჯელი, რომელთაგან აღსანიშნავია: გაძევება, მამულის ჩამორთმევა, ჯარიმა, ბეგარა, გაპარსვა და სხვა. ძეგლისდების ძირითადი მიზანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წესრიგის დამყარება იყო. ამავე დროს გიორგი მეფემ, მთაში სამეფო ხელისუფლების გავლენის გაზრდისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ბარში არსებული სასჯელთა სისტემა დაანესა მთიულებისათვისაც, მხოლოდ სასჯელის ზომა მნიშვნელოვნად გაზარდა.

გიორგი ბრწყინვალეს ეპოქის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი – „ხელმწიფის კარის გარიგება“.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ დაღუპვას გადაარჩინა და გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა. იგი წერს, რომ ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია გარიგება ხელმწიფის კარისა ჩვენ ვიპოვეთ ქართლში მოგზაურობის დროს ერთს გაპარტახებულ სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალწინ გამოგავეს ოთახიდან.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ნუსხა, მოთავსებული იყო გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადების“ ნუსხასთან ერთად ერთ ხელნაწერ კრებულში. ხელნაწერი XVIII საუკუნეს განეკუთვნება. ხელმწიფის კარის გარიგების შედგენის დროის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არა გვაქვს; ძეგლი შედგენილი უნდა იყოს არაუადრეს XIII საუკუნის დასასრულისა და არაუგვიანეს XV საუკუნის II ნახევრისა, ამიტომაც მეცნიერთა უმრავლესობა მისი შედგენის სავარაუდო თარიღად XIV საუკუნეს მიიჩნევს; ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს რომ ხელნაწერი გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების ხელნაწერთან ერთად იქნა აღმოჩენილი. ძეგლი დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს შედგენილი, ამაზე მიუთითებს ის ნელოვანი ღონისძიებები გაატარა. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს სიძლიერე ქართველ გლეხზე, ძლიერ ქართულ სოფელზე იდგა. გახიზნული გლეხობა ძველ საცხოვრისზე დააბრუნა. სოფლად მცხოვრებლებს შეღავათები დაუწესეს. ქვეყნის ერთიანობის აღდგენამ, მონღოლთა ბატონობის მოსპობამ, ქვეყანაში წესრიგის დამყარებამ, ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებას. მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს ქალაქებში ვაჭრობა და ხელოსნური მრეწველობა, სავაჭრო–ეკონომიკური კავშირები აღდგა არა მარტო ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქალაქებთან, არამედ ევროპის, კერძოდ, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან. ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობათა მოწმობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თბილისის გარდა ზარაფხანები არსებულა ქუთაისში, დმანისში, ყარაღაჯსა და ანისში. აღმოსავლეთ საქართველოში და საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, უმთავრესად იჭრებოდა მონღოლური ან, უფრო ზუსტად, ქართლ-ჰულაგუიდური მონეტები, რომელთა მიზანი იყო სავაჭრო კავშირების აღდგენა და გაღრმავება აღმოსავლეთის ქალაქებთან.

მონღოლური ფულის – „ყაზანური თეთრის“ პარალელურად გიორგი V-მ მოაჭრევინა ვერცხლის მონეტა – „გიორგაული თეთრი“ რომლის მთავარი დანიშნულება საშინაო ბაზრის მომსახურება უნდა ყოფილიყო. ამ ფულს შემდგომ ფართო გავრცელება მოუპოვებია. მაგალითად, სამცხეში XIV საუკუნის დასაწყისში ბექა მანდატურთუხუცესის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ქონებრივი საზღაურის გადახდა „ყაზანური“ თეთრით ყოფილა დაწესებული. XIV საუკუნის 80-იან წლებში კი აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის მიერ შემოღებულ სამართლის წიგნში საზღაურად უკვე „დიდისა, წარჩნებულისა მეფისა გიორგის ჟამის თეთრი“ გაუჩენიათ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში იმავე პერიოდში იჭრებოდა ე.წ. „კირმანეული თეთრი“, რომელიც ტრაპიზონის ვერცხლის ფულის მინაბაძს წარმოადგენდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგსაც მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიუღწევია. კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობასა და მებაღეობა-მეხილეობას. ამ დარგების განვითარებისთვის აუცილებელი იყო დანგრეული და გაუქმებული სარწყავი სისტემების აღდგენა და ახლების მშენებლობა, რადგან აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მორწყვის გარეშე აღნიშნულ დარგებს დიდი წარმატება ვერ ექნებოდათ.

ქვეყნის ამგვარ აღმავლობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გიორგის ოცდაათ წელზე მეტი ხნის მეფობა ძირითადად მშვიდობიანი ხანა იყო და მწარმოებელი საზოგადოების უმრავლესობა საომარ მოქმედებებში კი არ იყო დაკავებული, არამედ შრომობდა და მატერიალურ დოვლათს ქმნიდა.

გიორგი V-ის დროინდელი საქართველოს ეკონომიკური წარმატებისა და პოლიტიკური სიძლიერის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ რომის პაპმა იოანე XXII-მ აღმოსავლეთის კათოლიკური სამისიონეტო ცენტრი ქალაქ სმირნიდან (ბიზანტია) თბილისში გადმოიტანა, საეპისკოპოსო ქალაქად დააწესა და საკათედრო ტაძრის აშენებაც ბრძანა. რომის პაპმა 1330 წელს თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა იოანე ფლორენციელი (1330-1348 წწ).

პაპი იოანე XXII თავის წერილში ქართველი მეფისადმი აღნიშნავს, რომ „შემდგომ ბევრი რჩევისა და გამოძიებისა, დავწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ ტფილისი, ქართველთა სამეფოს ზუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ჩვენ გადავწყვიტეთ და ჩვენის ხსენებულის სრულის უფლებით ტფილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად და გნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრედ და ეწოდებოდეს მუდამ ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი: არც მოაკლდეს მას ეს საეკლესიო ღირსება, არამედ იგი უფრო აღემატოს და გავრცელდეს. ეგრეთვე ძმათა რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს ტფილისის საეპისკოპოსო ეკლესია; ამ კათედრაზე ღვთის შეწევნით ეპისკოპოსად დავნიშნავთ გამოცდილსა და მოღვაწე პირს. ავინიონით, 9 აგვისტოს, მღვდელთ მთავრობის მეცამეტე წელიწადს (1329)“.

ამ პერიოდში კათოლიკეთა საეპისკოპოსოს დაარსება მოხდა ქალაქ სოხუმში, სადაც ეპისკოპოსად დაინიშნა პეტრე გერალდი.

ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წყაროები ერთხმად აღნიშნავენ გიორგი V-ის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტს.

გიორგი V ბრწყინვალე

ქართველ მეფეს პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან: ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, საფრანგეთთან, რომის პაპთან, ეგვიპტის სასულთნოსთან და სხვა სახელმწიფოებთან. მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეთაურები გიორგი ბრწყინვალეს თავიანთი რანგის ხელმწიფედ აღიარებდნენ. ამის დადასტურებაა ისიც, რომ XIV საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-უმარის ცნობით, ეგვიპტის სულთანთა წერილებში გიორგი დახასიათებულია, როგორც დიდი მოღვაწე და პოლიტიკოსი. წერილში ეგვიპტის სულთნები, რომლებიც მსოფლიოს უპირველეს მუსულმან ხელისუფლებად მიიჩნეოდნენ ქართველ მეფეს, შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ:

„მაღალი ალაჰი ხანგრძლივს ყოფს ბრწყინვალეებას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცის, ლომისა, მეთაურისა, მრავალგზის თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძსა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტგვირგვინოსანთა შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწყისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმდიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულრნფელისა, მეფეთა და სულთანთა მეგობრისა“.

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ალ-უმარის ცნობები გიორგი მეფეს „ფართო და თავისუფალი აზროვნების პოლიტიკოსად გვაგულისხმებინებს“.

ცნობილი ფაქტია, ქართველები ძველთაგანვე ფლობდნენ ეკლესია-მონასტრებს წმინდა მიწაზე. იერუსალიმის ქართველთა ეკლესია-მონასტრები მაჰმადიანებმა მიიტაცეს XIII საუკუნეში. ჯვრის მონასტერი დაახლოებით 1305 - 1310 წლებში დაუბრუნებიათ ქართველებს მეფე დავით VIII-ის მცდელობით, სხვები კი – ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესია, „გოლგოთა“ და ქრისტეს „საფლავი“ მაჰმადიანების ხელში რჩებოდა.

გიორგი V-მ თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებშივე მიაქცია ყურადღება იერუსალიმის ქართულ სავანეებს. პირველი ელჩობა მას ჯერ კიდევ 1316 წელს გაუგზავნია (როცა ის ჯერ კიდევ გიორგი მცირეს მეურვედ ითვლებოდა); მეორედ კი – 1320 წელს. გიორგი მეფემ ეგვიპტის სულთანს ძვირფასი საჩუქრები და წერილი გაუგზავნა. გიორგი ითხოვდა ქართული სავანეების დაბრუნებას და ყველა ქრისტიანის შეურაცხმყოფელი წესებით – მათ შორის ქრისტიანი მლოცველებისათვის ცხენზე ნორმალური ჯდომის აკრძალვის (ამ აკრძალვის მიხედვით, იერუსალიმში შემსვლელ ქრისტიანებს ორივე ფეხი ერთ მხარეს უნდა ჰქონოდათ) გაუქმებას. სამაგიეროდ, გიორგი სულთანს სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა, საჭიროების შემთხვევაში.

გიორგი მეფემ ეგვიპტის სულთანთან ელჩებად გააგზავნა პიპა ქსნის ერისთავის შვილი და დეკანოზი იოანე ბანდაისძე. ქართული სამართლის წყარო „ძეგლი ერისთავთა“ ამ ამბავს შემდეგნაირად აგვიწერს: „ამა ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ ნარგზავნა ძე შალვა ერისთავისაი, რომელსა ერქუა პიპაი გზასა ხმელეთისა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპაი წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპაი ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად და მოუწერეს სამთვნელსა და ერისთავსა გიორშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისკევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღვუარობა ნუვის ხელენიფების თვინიერ ამისსა. ხოლო პიპამან მოილოცნა წმინდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმინდანი და ხატნი შეუნიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელითა და მოვიდა წინა-

გაგრძელება მე-11 გვ. ▶



რევაზ მიშველაძე

სირბილი, ღობეზე გადახტომა, ხეზე ასვლა და ცურვა რავა არ ვიცოდი, ვიცოდი და სოფელში ორი ბიჭი ვერ მჯობნიდა ცხენის ჭენებაშიც, მარა ომი მაინც სხვაია, თურმე.

ჩვენი ზემდეგი – ტიბაანელი ჩაჩხუნაშვილი, ცოდვას ვერ დევიდებ, ერთგულად გვწვრთნიდა. აკოპის თხრა, მიწისძვრის დროს კარღია სარდაფში (კარი რო არ ჩეგეკეტოს) სა“, „ხვალამდე“ და ასე შემდეგ.

„ოკეისთანა“ მუშა სიტყვა რომ მოგვცა ქართველებს, აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი „იმე“? „შენ ხარ ჩემი ბატონი“, „რავა გეკადრება“, „გაამოთ“, „ღმერთმა ფრჩხილი ნუ წამოგატკიოთ“, „ერთობ სასიამოვნოდ გამოიყურებით“, „ნამეტანი გვალვები დეიჭირა წლეულს“ და სხვა ზედმეტი სიტყვები. ისე, ზრდილობის გულიზა, წამდაუწუმ რომ ვუცვლით ხოლმე ერთიმეორეს.

რა ყოფილა ამერიკული სამხედრო მომზადება, სიტყვით ვერ აღგიწერ. ბოევიკების კინო ხომ გინახავს, ისაა პირდაპირ. არაფერსაც არ აჭარბებენ სტალონე და შვარცენეგერი. ჯარისკაცსო, კიმია გვეუბნებოდა, ყველაფერი უნდა შეეძლოსო. საცხა ტანკი ვერ გავა, იქ ჯარისკაცი უნდა გევიდესო. თვითონ რობოტივითაა, დაღლა არ იცის. ჩვენ რო მივსავათდებოდით, მერე ორას მკლავზიდს აკეთებდა ბალახზე. დღეს ვერ დავტვირთე ორგანიზმი, ვარჯიში მაკლიაო, რისი დალევა, რისი მოწევა.

ჩაჩხუნაშვილს რუსული ჯარიდან „ატბოი“ და „პერეკური“ რო ჰქონდა გადმოღებული და ორ საათში ერთხელ რო „პერეკურს“ გვაკეთებიებდა, გაგიგონია? ვერაფრით რო ვერ გავაგებიე კიმიას, რას ნიშნავდა „პერეკური“, ტუჩებთან ორი თითი მივიტანე, ლოყები დავბერე და ჰაერი ამოვუშვი, კაცი დასაბმელი გახდა. სტეჩკინისნაირი შავი პისტოლეტი დააძრო ბუდიდან და დაგვემუქრა: მე მგონია, ნარკომანები ვეგონეთ, თვარა სიგარეტზე ასე რავა გაგიუდებოდა.

რაღა დაგიმალო, ჩვენ რაც ვიცოდით, არაფერი გამოგვადგა ამერიკელებთან. თურუნდა გახსნა, ბარე ორ მაგარკბილიანს შერჩა კბილი ზედ.

ერთი სიტყვით, იმ ორ თვეში, მართალია, მაგრად გაგვწურა კიმ სერფილდმა, მარა ჩვენგან ნამდვილი ბოევიკები დააყენა. რაც გითხარი, იმის გარდა, ხელჩართული ჩხუბის ისეთი ილეთები გვასწავლა, თითო ჯარისკაცი ხუთ ნაკლებადნავარჯიშებ თავდამსხმელს ორ წუთში ყურებს დავახევთ, განვაიარაღებთ და ზურგსუკან ხელშეკრულებს ვაწვენთ მინაზე (თუ ნამეტანი წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს, რასაკვირველია).

განსაკუთრებული ენერგია და დრო კიმიამ მთიანი რელიეფის საოპერაციო წვრთნას მოანდომა. სამმაგ ხტომაში ისე დავვოსტატდი, ხუთმეტრიან თხრილს ვევლებოდი თავზე. თხრილზე გადახტომის დროს ერთი რამ უნდა იცოდე: მაღალი ნაპირიდან დაბალზე უნდა გადახტე. დაბლიდან მაღალზე ჭირს ძალიან. რატო, იცი? შეიძლება, კედელს შეახტე, თავი ვერ შეიმაგრო და დურთო თავი ძირს. წყალში კიდო არა უშავს, მარა სიპ კლდეზე ხარ ცოდვა.

ყველაფერი დავძლიეთ. ცოტა პარაშუტიდან ხტომა გაგვიჭირდა, მარა მაინც დავეუფლეთ. თუ მეინდომებს ადამიანიშვილი, თურმე ყველაფერი შენაძლება.

ასე, ამნაირად, გაწვრთნილ-ნავარჯიშები ჩვენი ბატალიონი 2002 წლის 7 აპრილს ჩაგვაფრინეს თელავში საღამოს ცხრა საათზე. დაგვირიგეს სამ-სამი ხელყუმბარა, თითო აკეესის მოკლე ავტომატი, ამერიკული „ოხუესის“ ბარაბნიანი პისტოლეტი (შვიდტყვიიანი) და კნოპკიანი იაპონური დანები. ზურგჩანთა გაგვივსეს სამი დღის პაიოკით (მშრალი ძეხვი, პაშტეტი, თეთრი და შავი პური, წითელი ხიზილალა. მგონი, ხელოვნური უნდა ყოფილიყო), თორმეტ-თორმეტი ბანანი, თხლად დაჭრილი შოტლანდიური ყველი და კიდო იყო რაცხა-რაცხა, არ მახსოვს).

ამაღამ ადრე უნდა დევიძინოთ და ხვალ დილის ოთხ საათზე პანკისში წმენდის ოპერაციაზე უნდა გავფრინდეთო, კიმიამ. ოპერაციის სახელიც გვითხრა: „აულის ელდა“, თუ რაღაცა ამნაირი.

მშვიდად მეძინა-მეთქი, ვერ გეტყვი, მარა შიში არ გამივლია გულში. რა მაქვს საშიში. ყველაფერი გვასწავლეს ამერიკელებმა, რაც თვითონ იცოდნენ. ახლა ცოტა შენც უნდა იმარჯვო. ისე, კიმია რომ თვითონ მოგვყვებოდეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, მარა დაწოლის დროს გამოგვიცხადა: ჩემი წამოსვლა არ შეიძლებაო. პანკისის გაწმენდა ტერორისტებისგან და მაფიური კლანებისგან თქვენი შინაური საქმეა, ჩვენ, ამერიკელები, ვერ ჩავერევითო.

ოთხის ნახევარზე აფრინდა ჩვენი ვერტმფრენი. ათივენი გვერდიგვერდ ვზიავართ. ნამეტანი ძიგძიგებს მანქანა. ქარია, როგორც ჩანს, ზევით. თელავში იმდენად არ იგრძნობოდა. მთვარით განათებულ პანკისის ხეობას ჩავყურებთ მდუმარედ. დავალება ხუთი თითივით ვიცით. სიგნალს რომ მოგვცემენ ათამდე სწრაფად დათვლის შუალედით, მიყოლებით უნდა გადავხტეთ, პარაშუტი იქვე, ბუჩქებში, საგულდაგულოდ მივმალოთ და გათენებას დველოდოთ. გათენებულზე საცხოვრებელი პუნქტის „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) უნდა მოვიყაროთ თავი. დანარჩენი, რაც უნდა გავაკეთოთ, სამხედრო საიდუმლოებაა და ვერ გავამხელ.

გადავიწერე პირჯვარი და ჩავხტი. ყველაფერი ვიცი. გაწვრთნილი ვარ ისე (თანაც მთიანი რელიეფის შესაფერისად), რომ გაგეხარდება. ნეტავი შემნიშნავდეს ვინმე ჩახტომის დროს და თავს დამესხმოდეს. კაი ჩიტს დაიჭერს. ისეთი ილეთები მასწავლა კიმიამ, ხუთ კაცს ცხვირით მიწას ვახნევინებ (თუ ჩემზე უფრო ნავარჯიშები თვითონ არ აღმოჩნდნენ, რასაკვირველია).

სიბნელეში მთლად ზუსტად ვერ მოვზომე და, მგონი, მეათედი წამით ადრე გავხსენი პარაშუტი. თანაც, ჩემდა იღბლად, ქარი უბერავდა, ეს უპატრონო. მიწას რომ დოვუახლოვდი, ბევრი ვქაჩე მარცხნივ პარაშუტი, ჰაერში სამოოთხი სალტომორტალე გავაკეთე (როგორც გვასწავლა კიმიამ), მარა ხეებს ვერ ავაშორე პარაშუტი.

ორ უზარმაზარ წიფელზე ვკიდივარ. პარაშუტი ისე საიმედოდაა გაჩხერილი, რომ ვერაფრით ჩამოვხსენი. გადავჭრიდი თოკებს და ჩავხტებოდი, მარა ოციოდე მეტრის სიმაღლეზე ხავსიანი ლოდის თავზე ვკიდივარ. რომ გადავხტე, უეჭველად დავიმტვრევი. ნერვიულობისაგან ცივი ოფლი მასხამს. ყველაფერი გვასწავლა იმ ოჯახაშენებულმა ამერიკელმა, მარა ხეს რო პარაშუტი გამეედება, მაშინ როგორ უნდა მოიქცე, არ უსწავლებია. არადა თენდება. შვიდის ნახევარზე შეკრების ადგილას „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) უნდა ვიყო.

ავტეხო ყვირილი, მიშველეთ-მეთქი, უფლება არა მაქვს, კიდეც რომ მქონდეს, საშიშია. ვინაა ამ უღრან ტყეში შენი პატრონ-მოყვარული. ათასი თული დადის პანკისის ტყეებში. არა, არა, ასე რომ ჩამოვხმე თოკზე ტარანივით, საშველად არავის ვუხმობ, თავი მომეჭრება. ქე დამავიწყდა. მობილურები ბანაკში დაგვატოვებინეს, რა ქვია იმას, კონსპირაციის მიზნითო.

ამ ფიქრებში ვარ, რომ ქვევით ლაპარაკი მესმის. ვინ იქნება ამ დილაუთენია. იქნებ მე მეძებენ. ალბათ, შეშფოთდნენ, ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) რომ არ გამოვცხადდი და მზვერავები აფრინეს.

სინათლის წრეში ჩემგან მარცხნივ ორი ჩექმებიან-ფაფახიანი კაცი გამოჩნდა. ერთს – შავწვეროსანს, მხარზე ძველთაძველი შაშხანა ჰკიდია. მეორე, შედარებით ახალგაზრდა, უთოფოდაა.

რასაკვირველია, შემნიშნეს. ხმა არ ამომიღია, მაგრამ წეღან აზღუდი ჩამივარდა. შავწვეროსანმა თვალი ჰკიდა, აიღო, ამოიხედა, მაგრამ თითქოს მელოდაო, ხეებს შერჩენილ პარაშუტზე დაკიდებული კაცის ნახვა არ გაკვირვებია.

წინ მიმავალ ჭაბუკს ქისტურად რაღაც დაუძახა.

„აულის ელდა“

რკინა-ბეტონის სარტყლის ქვეშ დადგომა და ხანძრის შემთხვევაში მესამე სართულიდან თოკით ჩამოხოხება, მაგან გვასწავლა, მარა ეს ყველაფერი, თურმე, ომის დროს საბავშვო ბაღში რო პირველად სამი თითით, ჩანგლის სწორად დაჭერაში გავარჯიშებენ, ისაა, მეტი არაფერი.

ჩამევიდნენ, რავარც იქნა, ამერიკელი ინსტრუქტორები და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ჩაჩხუნაშვილს კი არა, ჩვენთან პოლკოვნიკს არ დაესიზმრებოდა, ისეთი ყოფილა ნამდვილი სამხედრო მომზადება.

ჯერ იყო და ფორმა დაგვირიგეს იმნაირი, ღამე რომ ვიხდიდი, ახლოს, სკამზე მეწყო და ხვანჯარი ხელზე მქონდა დახვეული, არ დევიღუპო, არ მომპარონ-თქვა.

რაცხა აბრეშუმნარევი კაპროლაქტამისგან იყო შეკერილი. ლურსმანს რო წამოდებოდი, არ იხეოდა და რაც მთავარია, მთელი კომბინეზონი ნიფხავ-პერანგიანად ნახევარ კილოს არ იწონიდა.

ახლა ბატინკებს არ იკითხავ? ბატინკები დაგვირიგეს, სამი ნომრით მეტი რო შეგხვედროდა, თვითონ ჯდებოდა ფეხზე. ძირი ჰქონდა სასწაული: სიპ ყინულზე მეიკიდებდი ფეხს. მე მგონია, წებოვანი კაუჩუკისგან იყო დამზადებული.

რაც მთავარია, პარტიანკების დახვევა აღარ გვჭირდებოდა. შიშველ ფეხზე უნდა ჩაგეცვა. თვითონ ჰქონდა ღრუბლის წინდები შიგნით ბატინკებს. სუნი? ახლა ფეხზე სუნი თუ გაქვს საერთოდ, ამერიკული ბატინკები ვერ გაგიქრობდა, რასაკვირველია. ღამით აივანზე გაიტანეთ, ან ხეზე ჩამოკიდეთო, გვაფრთხილებდნენ, მარა ვინ იყო ამერიკული ბატ ინკების გარეთ გამტანი გასანიავებლად.

კარგად რო გამოგვაწყვეს, ათ-ათად დაყვეს ჩვენი ბატალიონი. მე მეორე ჯგუფში მოვხვდი. ინსტრუქტორად ორმეტრიანი ამერიკელი კიმ სერფოლდი დაგვინიშნეს.

ჩვენ ინგლისური არ გვესმოდა და იმას – ქართული, მარა სამხედრო წვრთნას არაფერი ენის ცოდნა არ ნაჭირვება.

დილიდან საღამომდე ჩვენთან იყო კიმია. ნაბიჯზე არ გვშორდებოდა. არც თარჯიმანი გვყავდა და არც გრამატიკის მასწავლებელი, მარა მშვენივრად ვაგებინებდით ერთმანეთს. ჯერ თვითონ გვაჩვენებდა, რა უნდა გვეკეთებინა, მერე სამამდე დათვლიდა: „ვან, ტუ, სრიი!“ დაიძახებდა და დავიძროდით ადგილიდან. „სტოპზე“ უნდა გავჩერებულიყავით. თუ მთლად ვირი არ იყავი, „სტოპ“ უნდა გცოდნოდა. ბოლოს „ოკეის“ დასძენდა და ეს იყო სულ. „ოკეი“ ამერიკულად, რავარც შევატყვე, ყველაფერს ნიშნავს. მაგალითად, „კარგია“,

„დავისვენოთ“, „მოვრჩეთ“, „შევთანხმდით“, „ვისადილოთ“, „მომეწონა“, „ძილი ნებისა“, „ხვალამდე“ და ასე შემდეგ.

„ოკეისთანა“ მუშა სიტყვა რომ მოგვცა ქართველებს, აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი „იმე“? „შენ ხარ ჩემი ბატონი“, „რავა გეკადრება“, „გაამოთ“, „ღმერთმა ფრჩხილი ნუ წამოგატკიოთ“, „ერთობ სასიამოვნოდ გამოიყურებით“, „ნამეტანი გვალვები დეიჭირა წლეულს“ და სხვა ზედმეტი სიტყვები. ისე, ზრდილობის გულიზა, წამდაუწუმ რომ ვუცვლით ხოლმე ერთიმეორეს.

რა ყოფილა ამერიკული სამხედრო მომზადება, სიტყვით ვერ აღგიწერ. ბოევიკების კინო ხომ გინახავს, ისაა პირდაპირ. არაფერსაც არ აჭარბებენ სტალონე და შვარცენეგერი. ჯარისკაცსო, კიმია გვეუბნებოდა, ყველაფერი უნდა შეეძლოსო. საცხა ტანკი ვერ გავა, იქ ჯარისკაცი უნდა გევიდესო. თვითონ რობოტივითაა, დაღლა არ იცის. ჩვენ რო მივსავათდებოდით, მერე ორას მკლავზიდს აკეთებდა ბალახზე. დღეს ვერ დავტვირთე ორგანიზმი, ვარჯიში მაკლიაო, რისი დალევა, რისი მოწევა.

ჩაჩხუნაშვილს რუსული ჯარიდან „ატბოი“ და „პერეკური“ რო ჰქონდა გადმოღებული და ორ საათში ერთხელ რო „პერეკურს“ გვაკეთებიებდა, გაგიგონია? ვერაფრით რო ვერ გავაგებიე კიმიას, რას ნიშნავდა „პერეკური“, ტუჩებთან ორი თითი მივიტანე, ლოყები დავბერე და ჰაერი ამოვუშვი, კაცი დასაბმელი გახდა. სტეჩკინისნაირი შავი პისტოლეტი დააძრო ბუდიდან და დაგვემუქრა: მე მგონია, ნარკომანები ვეგონეთ, თვარა სიგარეტზე ასე რავა გაგიუდებოდა.

რაღა დაგიმალო, ჩვენ რაც ვიცოდით, არაფერი გამოგვადგა ამერიკელებთან. თურმე ჩვენ ბუდიონის დონეზე დავრჩენილვართ წვრთნაში. ქეც იმიტოა, თეთრი ხელთათმანებით რო ომობენ ამერიკელები და მაგენის მომრევი არავინაა დუნიაზე.

მოწინააღმდეგის ათასი ჯარისკაცი რო წეიცელება, ამერიკელი ერთი კვდება და ისიც შემთხვევით – ან მზის დარტყმას ღებულობს, ან თავისით ჩამოვარდნილი ქოქოსის პალმის ნაყოფი (სირაქლემას კვერცხზე დიდი და უფრო მაგარია) ხვდება თავში.

ა, გეტყვი, აგერ, თუ გაინტერესებს, რა ვიცოდით ჩვენ და რა გვასწავლა ამერიკელმა ინსტრუქტორმა: ბაგირზე ცოცვის დროს ხელისგულზე თურმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დეიფურთხო, სრიალებს ხელი. პირიქით, სველი თუ გაქვს, საგულდაგულოდ უნდა გეიმშრალო და თუ გაქვს ჯიბეში ცარცის ნაჭერი, უნდა წეისვა, მესამე (ან თუ გინდა, მეოთხე) სართულიდან ჩამოხოხების დროს ნეილონის თოკი მარცხენა ბარძაყზე კი არა, მარჯვენაზე უნდა დეიხვიო და არავითარ შემთხვევაში მხარზე არ უნდა გადაიკიდო, შეიძლება სიჩქარეში კისერზე ვერ გადეიგდო და მარყუჟში გაყო თავი. შეტევის დროს ტანკს გვერდზე კი არ უნდა მიყვე, რავარც მახარაშვილი მიყვება „ჯარისკაცის მამაში“, უკან უნდა დოუდგე, თანაც ოცდახუთ მეტრზე ახლოს არავითარ შემთხვევაში. ხომ შეიძლება, ტანკი მინაზე აფეთქდეს. ხუთი ომი ჩაატარა საბჭოთა კავშირმა და ეს ვერ გეიანგარიშეს რუსის გენერლებმა? იცოდნენ, რასაკვირველია, მარა ჯარისკაცი ფეხებზე ეკიდათ. კვდებოდნენ, ალბათ, სიცილით, ამერიკელები ერთ კინოში. კაპიტანმა „სვიაზის“ აღსადგენად ხუთი ანგელოზივით ბიჭის სიცოცხლე რო შეაგდო სასწორზე. რისი „სვიაზი“, რას მიქვია „სვიაზი“, რავა შეიძლება, შნურით ხელში ცეცხლის ხაზზე არბენიო ჯარისკაცი. კაცია, თხა ხომ არ არის. თვარ დოურეკავს ლეიტენანტი პოლკოვნიკს მოსრია პატრონიო, იტყოდა ამერიკელი ჯარისკაცი, თვითონ ლეიტენანტიც არ მიცემდა ამნაირ სულელურ დავალებას. როცა ხელყუმბარა უნდა შეაგდო სადმე, ჩვენ ასე გვასწავლიდა ჩაჩხუნაშვილი, ჯერ შეიხედე ოთახში, მერე მარცხენა ხელით შეაგდე ხელყუმბარა და შენ იქვე, მარჯვნივ, კედელს ამოეფარეო. რამდენი მოკვდებოდა, რო იცოდე, ამნაირი მოქმედებით. რავა, რო შეიხედავ, მოწინააღმდეგეს ყვ-ბზე კი არა აქვს ხელები დაწყობილი. გრეკავს შუბლში და უყარე კაკალი. პარაშუტით გადმოხტომის დროს ხელფეხგაშლილი ფრენა თურმე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სამიზნე ხარ მტრისთვის. თანაც, რაც შეიძლება, ახლოს უნდა გაშალო დასაფრენ წერტილთან პარაშუტი, თვარა ქარი წაგიღებს და ვინ იცის, სად ამოგაყოფიებს თავს. ხომ უბრალო ამბავია, მარა „კოკა-კოლა“ არავითარ შემთხვევაში კბილით არ

მერე შუბლზე ხელი მიიჩრდილა, თოფი კომბალივით დაიბიჯგა და ქართულად მკითხა:

– შენ მანდ რა გინდოდა?!

– ქართველები ხართ?

– ქისტები.

– ვვარჯიშობდი და პარაშუტი ხეს გამოედო. ისევ გადაულაპარაკა თანამგზავრს ქისტურად.

– რატომ აქეთ, სხვაგან არ ვარჯიშობთ, აქ ვარჯიში ხომ ხედავ – საშიშია!

მე ჩემი მჭირს და ესენი დგანან და იცინიან.

– ჩამომხსენით როგორმე და მერე ვილაპარაკოთ.

ისევ გადაულაპარაკა თანამეინახეს. იმანაც ღიმილი მოისხიპა და პასუხი ქისტურადვე დაუბრუნა:

– ჯერ ეგ ავტომატ გადმოაგდე!

გადავაგდე ავტომატი.

– ახლა პისტოლეტ გადმოაგდ!

გადავაგდე პისტოლეტი.

– გრანატები იქეთ ბალახისყე გადმოყარ!

– საშიში არ არის?

– კრუჩოკი თუ არ მოხსნი, ა?

– არა.

– აბა გადმოყარე, ნუ გეშინია!

გადავყარე ხელყუმბარები.

***

ერთი კვირა ვყავდით ორმოში, მეტი არა. ყველაფერი ტყუილია, რაც ჭორად გავრცელდა. ცოდვას ვერ დევიდებ, გლახათ არ მეპყრობოდნენ.

მე ქისტური არ მესმოდა, მარა მიწურში ვინც შამევიდოდა და ჩემს თავგადასავალს შეიტყობდა, კვდებოდა სიცილით.

ერთი კვირის თავზე თვითონ გამათავისუფლეს. საგუშაგოსთან ნახევარ კილომეტრში თვალახვეული მომიყვანეს და გამომიშვეს.

გამოსასყიდზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვინ იყო ჩემი გამომსყიდველი. კაცური სიტყვა ჩამომართვეს, ჩემი მასპინძლების ამოცნობადასმენა არ დამეწყო.

ახლა, რაც შეეხება ჩემს ბრალდებებს, არ დეიჯერო, თუ ძმა ხარ, ყველაფერი ჟურნალისტების და სამხედრო პროკურატურის მოჭორილია.

ფრიადოსანმა კურსანტმა, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ საგულდაგულოდ გაწვრთნილმა, შალიკონა ვაჩიბერიძემ, ავტომატი, პისტოლეტი, სამი ხელყუმბარა და პარაშუტი ნაღდ ანგარიშზე ქისტებს მიყიდაო, ოუჭრელებიათ გაზეთები.

ისე ოუშენდათ პატრონი მაგენს, ეგ მართალი იყოს.

იქნება აგერ სასამართლო ცხრამეტში და გაირკვევა ყველაფერი.

 პოეზია

ვლადიმერ ველიჯანაშვილი

***

იჩურჩულე ჩემო ნაკადულო,
იჩურჩულე!
იჩურჩულე იმგვარად,
დედა რომ ეჩურჩულება პირმშოს.

***

ეს აღმაფრენა,
აღმაფრენა
ო, უშურველი –
გამოვლენაა ვნების ძახილის.

***

მიზანთა მიზანი
მუდამ ასებობდა,
თუმცა მისი არსებობის
არსებობა
არ სჯეროდათ.

***

საოცრებათა საოცრებას
რა გამოლევს,
მაგრამ მისი აღმოჩენა
და მოპოვებაა რთული.

***

მეღირსებოდეს – დავიღვარო
როგორც ჩანჩქერი,
ჩაჩნქერი – წვდომად გადმოშლილი
თმები ქალწულის.

***

ო, მსუნაგობავ,
მსუნაგობავ
კაცთა მოძულევ,
როდის შეწყდება პლანეტაზე
შენი პარპაში.?

***

კვლავაც შევძახებ
ათას წლის შემდეგ:
რა მზეა!
რა მზევ!

***

პირმშვენიერო,
შენი ლტოლვა
სისრულისაკენ,
უაზრობაა,
უაზრობა
და ნუ მიელტვი.

***

... და გულცივობა,
როგორც ფითრი ტანზე აყრილი –
მღრღნის მოუსყიდავ
მარტის თოვლივით.

***

ოდეს გიყურებ
გალახული ძაღლის თვალებით,
ნუ შემომწყრები,
ნუ, ნუ მიწყენ,
ნურც მიორგულებ.

***

სავსე ვარ შენი საოცრებით,
აღარ ვგრძნობ
შიმშილს.

***

გააღე ყველა კარი,
გამოდი მაგ ნიჟარიდან,
სამყაროს
მხოლოდ ერთხელ ხედავ.

***

ერთმანეთს ვჯღიბავთ,
ერთურთს ვაწითლებთ,
და თანაც შავი ოზონის
ხვრელით
ვაპირებთ გასვლას გალაქტიკაში?

***

ყველაფრის ამტანი,
ყველაფრის მიმტევებელი
უწყინარი
თოვლის ზეწარი.
... ქაღალდი.

***

ადამიანის სულის ბრუნვას
გვანახებს საქმე,
არ არის მასზე უტყუარი
რაიმე ქვეყნად.

***

შეიფრთხილე,
იფრთხიალე
ვიდრემდის დრო გაქვს,
ვიდრე არ გიდგას
უძრაობა მარადიული.

***

მშვენიერებავ,
საოცრებათა საოცრებავ!
სამყარო შენით შევიცანი,
სამყაროს შენი თვალით
ვხედავ.

***

შენ ვულკანი ხარ მოთუხთუხე,
გამზადებული ამოსაფრქვევად,
შენგან შორს არის
დუმილის ფორმულა
ამოუხსნელი კაცთაგან.

***

შენით ვამაყობ,
შენით ვდიდგულობ
მშვენიერებავ,
კაცთა მოდგმის
ნავთსაყუდარო!

***

შენ იქიდან
აქეთ მოდიხარ,
მე აქედან – იქით,
თუ ვიცით მე და შენ
სად შევხვდებით ერთმანეთს?

***

მცდელობა შენი
ეგრე მიჰყვე უხეშ ჟამთასვლას,
ძალზედ მცდარია
და სევდიანი.

***

უნდა დაიცალო
რომ აივსო,
უნდა დაიცალო, –
სისავსე
სიცარიელით იწყება.

***

არ შემიძლია
ხელდაკრეფილმა ასე გიყურო,
ძაღლივით მიღრენს
წასასვლელი უქმე დღეები.

***

შენ უკვე
შენი ცხოვრებით ცხოვრობ
და მე აღარ მაქვს
განსჯის უფლება.

***

არასდროს მოგვაკლო
სიტბო და სინათლე
არასოდეს, –
ამომავალო მზის ნათებავ!

***

სიცრუეში არის
სიბრძნე
და ის სიბრძნე
სიცრუეა.

***

მითხარი:
როდემდე უნდა გეფერო
ჩემი დასუსტებული
გრძნობებით?

***

დაბადებამდე გახსოვდა რამე?
სიკვდილის შემდეგ რა
გვეხსომება?
ამბობს პაპა და
ჩიბუხის ბოლში
წაეცრემლება თვალი ნათლისა.

***

მუხანათ დროს კი
ფილტრავს წამები,
ახლა ათვლაც კი
არის ირიბი.

***

ოდესღაც ვინც რომ
შესცოდა მუნ მან,
ო, სწორედ იგი
შენ იყავ მურმან.

***

ხეები თავის სიშიშვლეს სწუხან,
გვახსენებს მაცდურ დრო-ჟამის
ბრუნვას,
არ მომასვენა წუხელი მწუხარ
ჩემმა სულისთქმამ და ჩემმა ურვამ.

***

ჯერ ეგ ცოდვილი
სული იმართლე
არყოფნაში რომ
დგახარ უძრავად,
შემდეგ მინატრე
როგორც სინათლე,
შენი არყოფნის
შესამუსრავად.

***

ჩემი ხარ ტაო,
დედაო, დაო,
ვის აქვს
სადაო?

***

დაემშვიდობე სივრცეს,
იქეც ნახშირად, ნაცრად,
სხვას მეტს ვერაფერს მისცემ,
არც წამესვლება არსად.

***

ისევ აქ ვდგავარ
ცა მო, მიწა მო,
საწამებელი უმცირესიც კი
უნდა ვიწამო.

***

იმ სიკვდილს
გაუმარჯოს,
სიცოცხლეს რომ
გაამარადიულებს.

***

დაგბედებივარ ჩემო ღვთისა ვარ,
მე შენთვის მუდამ ვიყავ ყმაწვილი,
მაინც ყოველთვის, შენი ხნისა ვარ,
შენი სულის და ხორცის ნაწილი.

***

ამ ქვეყანაზე
ჩემი ყოფნა, ჩემი არყოფნა
ო, მხოლოდ შენ ერთს
შეგიძლია უზენაესო.

***

სხვისი არა გვკლავს შური,
სხვისი ვერ გვაფრთხობს ღრენა,
მხოლოდ გვიძგერდეს გული,
მხოლოდ ვერ გვღლიდეს ფრენა.

***

ქართ. ფილ...ფაკუ.... დაამთავრა,
მაინც შენი უნდა შველა,
ვინც ქართულად ვერ საუბრობს...
ამოაძრო უნდა ენა.



ნათია ბრეგაძე

დღეს

დიდი ქუჩების ხმაურში ვცურავ
პატარა ნავით, რომელიც ბიძგებს
არ ეპუება და როგორც ღერძი
ურემის ყოველ დაწოლას უძლებს.
და ვხედავ, როგორ ეზრდება მკერდი
მინას და უხმოდ დიდდება ჩრდილი
და მოღუღუნე მტრედების ბუდე,
რომელმაც სივრცეს დაუფრთხო ძილი
მაღლდება უფრო...
მიიწევს მაღლა,
მაღლა და მაღლა
ხარაჩოების მტვრიანი მხრებით,
ირხევა ზეცის ცვრიანი ფარდა
დამძიმებული ცივი და გლუვი
სტალაქტიდებით.
და ააქვთ მტრედებს
სავსე ჩიჩახვებით
წითელი ფეხებით და თეთრი ნისკარტებით
ათიათასი საღუღუნო გადაძახილი ეთერში
პურის მარცვლებით მიწის სინედლე
ბალახის ღერით სხივნათელი მარადისობა.

ხვალ

ვით ჩემი ქუჩის მხურვალე „გუდრონს,“
მელნიან ცარცით დავხაზავ სივრცეს
ცისფერ მელანში დასვრილი ხელით
და ისე, როგორც ბავშობისას ვიცოდი ხოლმე
ასკინკილათი შემოვუვლი ცას რამდენჯერმე
და ამ სვლას მივცემ
სახლობანას თამაშის ელფერს.

მამულო შენ და მე

შენ მეფე ხარ,
შენ ღმერთი ხარ,
შენ ათი ხარ,
შენ ადიხარ,
შენ მნათი ხარ,
შენ ანთიხარ,
შენ ხატი ხარ,
და სხარტი ხარ,
იმ ჩემს დასაფიცარზე.
მე მონა ვარ,
მე ერთი ვარ,
მე კვერთხი ვარ,
მე ჩავდივარ,
მე მატლი ვარ,
მე მადლი ვარ,
მე დარდი ვარ,
მე დავდივარ
ამ ჩემს დედამიწაზე.

***

მიტანტალებს, სცივა,
მიტანტალებს როგორც
ფეხშიშველი წვიმა,
ფეხშისველი გოგო.
მზე ღრუბლებში ქარმა
ააგორა უცებ
და იტირა წყნარმა
გული რასაც უცემს.
ცამ ქარების გრეხვით
შემოსძახა შორით
და გავარდა მეხი
ვით ახალი ჭორი.
წყალს შხეფები სცვივა,
თრთის პატარა ღელეც,
ქარს წვივებზე სცვივა
და იფარებს ხელებს.

***

ყველაფერს ძეგლი დაუდგეს,
მხოლოდ შენ დარჩი ერთი,
შენ დედამიწავ, შენა ხარ
ჩვენი ხატიც და ღმერთიც.
შენ, თუმცა ძეგლი რად გინდა,
შენ ხომ ძეგლი ხარ თვითონ,
შენგან რაც მართვე აფრინდა,
ყველამ ფრთებით რომ ზიდოს...
საკმარისია, ოღონდაც...
ჩაგივარდებით ფერხთით,
ყრმა რომ გაგიჩნდეს შენებრი
გალაქტიკაში ერთი.

***

ნეტავ სიკვდილი რა არის?
აგორებული ქვა არის.
ვერვინ სცნოს,
ვის სად მისწვდება,
თუმც უბრმავესზე ბრმა არის.
თუმცა სიცოცხლის საზრისთან
სულ ერთი ბეწო თმა არის,
მაინც უნდა თუ არ უნდა,
სიცოცხლისათვის ფხა არის.
ვერავის გასცა პასუხი,
ამოსათქმელის ზღვა არის.
*
ნეტავ სიცოცხლე რა არის?
სულ ერთი სიტყვის თქმა არის,
ბევრისთვის გაუსაძლისი,
გადაუსვლელი მთა არის.
ზოგისთვის ქილიკ - ქილიკით
ია, ვარდი და ბზა არის,
ჩემთვის კი არა ბილიკი,
გაუკვალავი გზა არის.

***

ამ ქვეყანაზე კაცი თუ ხარ,
ვერსად ვერ წაუხვალ ცოდვის კითხვას,
ვისაც საკუთარი დედა უყვარს
სხვას დედას არასოდეს შეუკურთხავს.
ვიცი არასოდეს გნახავ მწუხარს,
ან რომ იცილებდე მწუხრის ჭაღებს,
ვისაც საკუთარი შვილი უყვარს
სხვის შვილს არასოდეს შეიჯავრებს.
ვერა, ვერ გავექეც ფიქრის დუღაბს
და ვერც გავექცევი დღეს თუ ხვალე,
ვისაც საკუთარი თავი უყვარს,
ვიცი, იგი სხვასაც შეიყვარებს.

ყვარყვარე IV ათაბაგის კავშირი და ინტერესი პროტესტანტული სამყაროსადმი

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა. ისარგებლა რა ირანში შექმნილი შინაარსილობით, ოსმალეთის სულტანმა **მურად III-მ** 1578 წლის გაზაფხულზე დაიწყო ომი ირანის წინააღმდეგ. ეს იყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი (1578-1590). მისი მთავარი ასპარეზი საქართველო, კერძოდ, სამცხე-საათაბაგო და ქართლის სამეფო იყო.

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო ვერ ახერხებდა დამპყრობლების წინააღმდეგ თავისი ძალების გაერთიანებას. შედეგიც შესაბამისი იყო. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარის (110 ათასი) პირველი დარტყმა სამცხე-საათაბაგოს დაატყდა თავს. შინაფეოდალურ ბრძოლაში გახვეული ეს მხარე, მტერს დამორჩილდა. ოსმალებმა აქ ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება გააუქმეს და მის ადგილზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო შექმნეს. 1578 წლის 24 აგვისტოს თბილისის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა ისიც საფაშოდ გამოაცხადეს. სექტემბერში კი შირვან აზერბაიჯანიც დაიპყრეს და აქაც საბეგლარბეგო დააარსეს.

ოსმალეთ-ირანის ამ 12-წლიან ომში ქართული სამეფო-სამთავროების ტრადიციული დიპლომატია და პოლიტიკა არ შეცვლილა. იგი დაემყარა მეომარი მხარეების წინააღმდეგობიდან გამომდინარე წონასწორობას. ცხადია, ეს ქართული მებრძოლი ძალების მეომარ მხარეებს შორის დაჯგუფებას იწვევდა. მესხეთისა და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ოსმალთა ჯარის ქვეშ იდგნენ, ხოლო ქართლისა და კახეთის ძალები – სეფიანთა ირანის არმიაში მონაწილეობდნენ.

ამ ომში ქართული სამეფო-სამთავროების დიპლომატიაში ორი ტაქტიკა გამოიკვეთა. სამცხე-საათაბაგოს მიერ პოლიტიკური ორიენტაციის მუდმივი ცვლა, ტრადიციისამებრ, იმის მიხედვით წარმოებდა, თუ რომელ დამპყრობელს ჰქონდა მეტი ძალა. ეს კი სამთავროში გაუთავებელი შინაომების წყარო ხდებოდა. სრულიად ახალ მიმართულებას წარმოადგენდა ქართლის სამეფოს სპარსოფილური პოლიტიკა, რომელიც გმირი მეფის **სიმონ I** ***"...ალამუთის ტყვეობისდროინდელი ხანგრძლივი ფიქრებისა და საუბრების ნაყოფი..."*** (ავალიშვილი ზ. კავკასიური პოლიტიკის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია. წელიწდეული I, თბ.,1994,გვ. 224) იყო. ჩვენი აზრით, ირანზე სიმონის შურისძიების გრძნობა მისმა პრაგმატულმა პოლიტიკურმა გონებამ შეცვალა და სწორედ ამიტომ ოსმალებს არ დაუდგა გვერდში ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოცემულ ეტაპზე ქრისტიანობისათვის მებრძოლმა სიმონმა რელიგიურ ფაქტორზე მაღლა პოლიტიკა დააყენა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ოსმალთა უზარმაზარი ძალის წინაშე საქართველოს მოკავშირე მარტო სულტანის დაპყრობის ობიექტი ირანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ გზით ესახებოდა მას საქართველოში ქრისტიანობის გადარჩენაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქრისტიან ქართველთა თვალში მას არ შელახვია რეპუტაცია მუსლიმობის მიღების გამო. კიდევ მეტი, კახეთის **მეფე ალექსანდრე** თრიაქის წევას უფრო უწუნებდა, ვიდრე რჯულგანდგომას, რადგან ყველას სჯეროდა, რომ სიმონი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და გადადგმული ნაბიჯი პოლიტიკური მიზნით იქნა გაკეთებული. ამ მიმართულებით ლუარსაბის ავტორიტეტი და სიმონის თავდაუზოგავი ბრძოლის არგუმენტებიც მოქმედებდა, მაგრამ მთავარი შექმნილი ვითარება იყო. სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ ჩანდა. თუნდაც გაერთიანებულ ქართულ ძალას, იდეალში რომ დავუშვათ, ძლიერი მოკავშირის გარეშე მარტოს, უბრალოდ არ შეეძლო ოსმალეთის იმპერიის დამარცხება. ირან-ქართლის სამეფოს ძალების კავშირი შეიძლება ასე დავაფორმულიროთ: სპარსულ-ქართული ძალა სიმონ მეფის დიდი მხედართმთავრული ნიჭითა და ომის წარმოების ხელოვნებით. ამიტომ სიმონი ბოლომდე ერთგული დარჩა სეფიანთა კარისათვის მოკავშირეობის შესახებ მიცემული სიტყვისა. თავის მხრივ, სეფიანთა კარმაც გამოიტანა დასკვნა, რომ ქართველების გარეშე ოსმალეთს ვერ დაამარცხებდა. ეს კი ქართველთა საბრძოლო თვისებებსა და უმაგალითო გმირობაზე გადიოდა.

1578 წლის ოქტომბერში ირანიდან საქართველოში დაბრუნებული სიმონ მეფის მიერ ოსმალების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაწყებულმა ბრძოლებმა, რომელიც 22 წელი გაგრძელდა, მაშინათვე მსოფლიო მასშტაბის გამოხმაურებები გამოიწვია, რადგან იგი უშუალო კავშირში იყო ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ სხვა დაპყრობილ სახელმწიფოებთან. ამიტომ დასავლეთში (ესპანეთი, გერმანია, ვენეცია, ტრანსილვანია, წმინდა ტახტი) დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ საომარი ოპერაციების შედეგებს, რადგან აღმოსავლეთში ომის შეწყვეტა, მაშინვე მუქარის ქვეშ აყენებდა დასავლეთის სახელმწიფოებს. ამის გამო ***„დასავლეთევროპული პოლიტიკოსებისათვის ირანის დამარცხება და ოსმალეთის მიერ მისი მოსალოდნელი დაპყრობა, მსოფლიო მნიშვნელობის კატასტროფას ნიშნავდა"*** (გაბაშვილი ვ. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან". კრებ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 77).

მზეჭაბუკ ათაბაგის ციხე-სასახლე

ყოველივე ამას ანგარიშს უწევდა ოსმალთა ჯარების მხედართმთავარი **ლალა მუსტაფა ფაშა.** მართალია, მას შედარებით ადვილი სამხედრო ლაშქრობა გამოუვიდა, მაგრამ კამპანიის დროის დანაკარგებმა და ქართველთა მხრიდან შექმნილმა სიძნელეებმა ლალა ფაშა დაარწმუნა, რომ სულტნის კარის მიზნების შესაბამისად პრაგმატული გადაწყვეტილების მიღება იყო საჭირო. ამას ბიძგს სიმონ მეფის მიერ შაჰის სამხედრო ძალებთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის კონტრშეტევაზე გადაყვანა აძლევდა. ლალასთვის პირველ ჯერზე მთავარი იყო ადგილობრივი მეფე-მთავრებისაგან მორჩილების მიღება, ხოლო შემდეგ კომპრომისზე წასვლას არ გამორიცხავდა. ამის უპირველეს მაგალითს სამცხე-საათაბაგო წარმოადგენდა. სამთავროში, ოსმალთა ლაშქრობის მომენტში, შინაფეოდალური ბრძოლა მიმდინარეობდა. ათაბაგ **ყვარყვარე IV-ს** (1573-1581) ტახტს თავისი ძმა **მანუჩარი** ეცილებოდა *(G. Tomaso Minadoi da Rovigogo. Historia della Guerra fra Turchi et Persiani, Venetia, 1588, გვ. 82)*. ჩირდილის ბრძოლამდე ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარს წერილით მიმართა, რომ ჩამოსცილებოდა სპარსელებს, მის მხარეზე გადასულიყო და ისლამი მიეღო. მანუჩარმა სიტუაცია რეალურად შეაფასა „თავის გამოცდილ აზნაურებთან" საგანგებოდ მოწვეულ შეკრებაზე და უმალვე ნებაყოფლობით დამორჩილება არჩიეს, რათა ქვეყანა მტერს არ აეოხრებინა. **„ჭკვიანურად წინდახედულება გამოიჩინეს და შესახვედრად სურსათ-სანოვაგე მოამზადეს"** (აბუბექრ ბინ აბდულაჰი. „გამარჯვებათა წიგნი". თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინე ილურიძემ, თბ., 2006, გვ.32).

1578 წლის დეკემბერში ოძრხეში, სადაც მანუჩარი იმყოფებოდა, დაბრუნებული ლალა ფაშას შიმშილით დაუძლურებული ჯარისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება დიდ შვებას წარმოადგენდა. ოსმალთა მთავარსარდალს ***„ხელზე სამთხვევად ეახლა მანუჩარის დედა ორი ვაჟის თანხლებით, გენერალმა უაღრესად გულთბილად მიიღო ისინი, მრავალი ძვირფასი საჩუქარი უბოძა და გაისტუმრა"*** – წერს ვენეციელი ანონიმი. სამცხეში ლალა ფაშა ორი დღე დარჩა. მხედართმთავარმა აქვე გადაწყვიტა, რომ ყვარყვარე IV და მანუჩარი სტამბოლში სულტანთან გაეგზავნა. ძალაუფლების მოყვარე და ენერგიული დედისიმედი, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა სამთავროს, როგორც გამჭრიახი პოლიტიკოსი, უმალვე მიხვდა, რომ ეს გადაწყვეტილება საათაბაგოს პოლიტიკურ სტატუსთან, სარწმუნოების შეცვლასთან და ძმებს შორის შუღლის ჩამოგდების მიზნებთან იქნებოდა დაკავშირებული. სწორედ ამის გამო შეძრა სულით ხორცამდე დედისიმედი ლალა ფაშას გადაწყვეტილებამ. მართებულია აზრი, რომ ***„სამცხე-საათაბაგოში საბეგლარბეგოს დაარსების მიზნით, სულტნის მოთხოვნით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში გაგზავნა"*** („საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე"),თბ., 2008, გვ. 255).

როგორც ირკვევა, სამცხე-საათაბაგოში საბეგლარბეგოს დაარსების საკითხი საკუთრივ სულტანს პრეტენდენტების გამუსლიმების საფუძველზე უნდა დაედასტურებინა. სტამბოლში, ამ დროის მეგაპოლისში, ეს აქტი შეუდარებელ მასშტაბს იძენდა, ვიდრე სამცხეში მისი აღსრულება იქნებოდა. უფრო მეტიც, საფიქრებელია, ქართველი მესვეურების მიერ სარწმუნოების შეცვლა დასავლელ ქრისტიან მეტოქეებზე გავლენის მოხდენის საშუალებადაც კი იყო ჩაფიქრებული. უნდა გავითვალისწინოთ, ოსმალეთში კარგად უწყოდნენ, თუ როგორი ინტერესით ადევნებდნენ თვალს დასავლელი ქრისტიანები აღმოსავლეთში ოსმალეთის ბრძოლებს, ცხადია, საკუთარ ინტერესებში. ასევე შესაძლებელია, მოცემული მომენტისთვის, მას სიმონ მეფეზე ზემოქმედების მნიშვნელობაც კი შეეძინა.

ყვარყვარე და მანუჩარი, 1579 წლის 20 აპრილს ერზრუმიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ. ამ ამბების ფხიზელი დამკვირვებელი **ტომაზო მინადოი** გვაუწყებს, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ სულტან მურად III-ს მისწერა: ***„მანუჩარს უკეთესად უნდა მოპყრობოდა, რადგან ის საუკეთესოდ მოიქცა, უფრო ხალისიანად ჩადგა მის სამსახურში. ალექსანდრეზე (ყვარყვარე-მ.პ.) კი ხმა დადის, რომ ფურაჟებზე წასულ თურქებზე თავდასხმებს აწყობდა"*** (*G. Tomaso Minadoi da Rovigogo. Historia della Guerra fra Turchi et Persiani, Venetia, 1588, გვ. 105*). სულტანი კი დიდად კმაყოფილი დარჩენილა. თავის მხრივ დედისიმედს, როგორც გონიერ პოლიტიკოსს, თადარიგი დაუჭერია და სანამ ძმები სტამბულში ჩავიდოდნენ, სულტანის კარზე დესპანი მიუვლენია. დედოფალი სულტანს სთხოვდა, რომ ყვარყვარესთვის ქრისტიანობის დაცვით ***„ზოგიერთი პრივილეგია მიენიჭებინა"*** (ესპანური წყაროები). ასევე დედისიმედი ითხოვდა, რომ ***„შავი ზღვისკენ გაგზავნილმა ხალხმა მის მიწებზე არ გაიაროს და არ დაზიანოს მისი [სამფლობელო]"*** *(Carriere Ernest, Negotiations de la France dans le Levant, t. III, Paris, 1850, გვ. 807)*. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა რომ: დედისიმედს ეჭვი არ ეპარებოდა, – ფორმალურად მუსლიმ მანუჩარს, რომელსაც სახელად მუსტაფა ერქვა, სულტანი წყალობას არ მოაკლებდა, ხოლო ყვარყვარეს, რომელიც სარწმუნოების შეცვლას არ აპირებდა, სავარაუდოდ, შეიძლება პრობლემა შექმნოდა და ამიტომ სთხოვდა **მურად III-ს**, მისთვის ქრისტიანობის შენარჩუნებით ***„მიეცა ზოგიერთი პრივილეგია".*** და აქვე; სულტანმა მურად III-მ დედისიმედის სათხოვარი, რომ ყვარყვარესათვის ქრისტიანობის შენარჩუნებით „ზოგიერ პრივილეგია მიეცა", დააკმაყოფილა.

1579 წლის 3 ივნისს ძმები 150 თუ 200 კაციანი ამალით სტამბულში ჩავიდნენ, სადაც ისინი დიდი ზეიმითა (ტაბაღუა ი. დასახ. ლიტ. გვ. 221- 222) და უჩვეულო პატივით მიიღეს *(Carriere Ernest, Negotiations de la France dans le Levant, t. III, Paris, 1850, გვ. 807)*. ასეთი პატივით, ელჩების რანგში, სამცხე-საათაბაგოს მესვეურების მიღება ერთ რამეს ცხადყოფდა: საათაბაგოს სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, სამთავროს მესვეურებთან სულტანისეული გეგმის შესაბამისად მიღწეული წარმატება დანარჩენი საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ოსმალთა სახელმწიფოს წინაშე კომპრომისებზე წასვლის თავისებურ არხად უნდა ქცეულიყო. ამასთანავე „ეს ორი ქართველი ბატონი თურქების სამსახურში უნდა ყოფილიყო საქართველოს ადგილი დაპყრობის საშუალება (Carriere Ernest, Negotiations de la France dans le Levant, t. III, Paris, 1850, გვ. 807).

სულტნის კარზე მყოფი ძმების მოლოდინი ასეთი იყო: ყვარყვარე ვარაუდობდა, ვინაიდან წლოვანებით უფროსი იყო, სწორედ მას მიანიჭებდნენ მმართველობის სრულ უფლებას, მით უმეტეს, რომ დედამ მას განკარგულებაში უკვე გადასცა სამფლობელოები. იმედი ჰქონდა, რომ ამ უფლებას სულტანი განამტკიცებდა. რაც შეეხება სარწმუნოების გამოცვლას, ის ლაქას არ მოსცხებდა თავის სულს ასეთი სამარცხვინო სულმდაბლობით *(მინადოი)*. რაც შეეხება მანუჩარს, ის მოხიბლული იყო იმ აზრით, რომ შესაძლებლობა ეძლეოდა დედის მამულებს დაპატრონებოდა და მბრძანებელი გამხდარიყო. მან გადაწყვიტა გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა, რათა უბრალო კარისკაცად არ დარჩენილიყო. არც იმას მოერიდებოდა, რომ უფროსობის, პირმშოობის უპირატესობა წაერთმია თავისი ძმისათვის და ამით მემკვიდრეობას დაპატრონებოდა, თუნდაც მშობლიური სარწმუნოების დაკარგვის ფასად. მისი სურვილი იყო, მოეპოვებინა წარმავალი დიდება და სიმდიდრე *(მინადოი)*. საბოლოოდ კი ყვარყვარემ სიცოცხლის ფასადაც კი არ ისურვა სარწმუნოების შეცვლა, ხოლო მანუჩარი რენეგატის გზას დაადგა. მისი წინდაცვეთა დიდი ზეიმის თანხლებით შედგა *(ე. შარიე)*, მიიღო ფაშას ტიტული, ალთუნყალას გუბერნატორობა, ასევე დედისა და ძმის საკუთრებაში არსებული ყველა მამული, რასაც ასე ელტვოდა. სერალი ზეიმობდა.

ერთი სიტყვით, ყვარყვარემ არ ინდომა სარწმუნოების შეცვლა და ამაზე მტკიცე უარი განაცხადა. ჯერჯერობით არ მოგვეპოვება არც ერთი წყარო, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებით ყვარყვარეზე რაიმე ძალადატანებას მიმართავდნენ ოსმალეთის კარზე. პირიქით, ***„მან მხოლოდ თხოვნით დააღწია თავი სულტნის პრეტენზიებს. ყვარყვარემ ქრისტიანობაც შეინარჩუნა და ძველი სამფლობელოები არამცთუ შეუმცირეს, არამედ გაუფართოვეს კიდეც"*** (მამისთვალიშვილი ე. „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია", I, თბ., 2009, გვ. 421). ასე რომ, სულტანმა მურად III-მ დედისიმედის სათხოვარი, – ყვარყვარესათვის ქრისტიანობის შენარჩუნებით ***„ზოგიერთი პრივილეგია მიეცა",*** დააკმაყოფილა. ეს ფაქტი უდავოდ მოწმობდა იმას, რომ რელიგიურ ფაქტორს ოსმალეთის სტრატეგიულ მიზნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. პორტა ალბათ იმედოვნებდა, რომ

→

არსებული მოცემულობა

ძმებს შორის ისედაც წყალგამყოფი იქნებოდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მანუჩარს მუსლიმობა არ მიუღია შიდა სეპარატული პოზიციის გასამტკიცებლად. უბრალოდ, ეს მარტივად უწყობდა ხელს აეღო ძალაუფლება საკუთარი ძმის გზიდან ჩამოცილების ხარჯზე.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთში მყოფმა ყვარყვარემ გზა გაიკვლია სტამბოლში აკრედიტებულ ჰაბსბურგთა საელჩოსკენ. თუ რა საშუალებითა და ხერხებით მოხდა ეს, ჩვენთვის უცნობია. საელჩოს თანამშრომელი **ვენცესლავ ბუდოვიცი** წერს: ***„რამდენადაც მისმა ძმამ (ყვარყვარემ-მ.პ.) არა ერთხელ გამოგზავნა თავისი ხალხი, რათა მისალმებოდნენ მის უბრწყინვალეობას – ბატონ ელჩს, ამ უკანასკნელმა ისურვა მისი გადარჩენისა და ქრისტიანული რელიგიის მსახურად მისი სამუდამოდ დარჩენისათვის ესარგებლა ჩემი სამსახურით“*** (ტაბაღუა. დასახ. ლიტ., გვ. 222). ამ ცნობიდან ისე ჩანს, რომ ჰაბსბურგთა ელჩთან დაკავშირების ინიციატივა ყვარყვარესაგან მოდიოდა. მას არაერთხელ გაუგზავნია „თავისი ხალხი“ ელჩთან, თუმცა ინფორმატორი არ გვეუბნება, რა მიზნით. მხოლოდ ელჩის გადაწყვეტილებიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ვენცესლავს ყვარყვარესათვის უნდა გაეწია სულიერი სამსახური, რათა ის ქრისტიანობაში განემტკიცებინათ, ანუ წყაროს ენით, ***„ქრისტიანული რელიგიის მსახურად დაერჩინათ“.*** რადგან ამ ინფორმაციის შესამოწმებლად სხვა საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია. ალბათ, ყვარყვარემ სულიერი სიმტკიცის შენარჩუნების ნიღბით მოახერხა აღნიშნულ საელჩოსთან დაკავშირება. შესაძლებელია, მას მიზნადაც ჰქონოდა ამ ფორმით ჰაბსბურგთა ელჩისაგან შეეტყო სეფიანებთან სულტანის მიმდინარე ომისადმი ევროპის ანტიოსმალურ ძალთა დამოკიდებულება.

აღნიშნულ საელჩოსთან ყვარყვარეს კავშირი არ იყო ერთჯერადი. **„და რაც შეეხება უფროს [ძმას]** (ყვარყვარეს-მ.პ.), **[მან] ერთხელ, ასევე მეორედ თავისი დიდად პატივცემული დოქტორის (უნდა გავიგოთ მოძღვარი-მ.პ.) მეშვეობით ბრძანა სალამის გადმოცემა. დოქტორმა ახლა გადაწყვიტა მუდმივად ესარგებლა მისადმი** (ყვარყვარესადმი-მ.პ.) **ჩემი მსახურებით, საპასუხო სალამი გადამეცა და დამერიგებინა, რათა ყოველთვის ერთგულად და თანმიმდევრულად დაეცვა ქრისტიანული სარწმუნოება“** (ტაბაღუა ი. დასახ. ლიტ., გვ. 222). ვფიქრობთ, ამ ტექსტს არ სჭირდება დამატებითი განმარტებები. მოკლედ, ყვარყვარემ თავისი მოძღვარი, ანუ წყაროს ენით – დოქტორი, გააგზავნა ორჯერ ჰაბსბურგთა საელჩოში, რათა მისთვის სამსახური გაეწია რომელიმე კაპელანს, ამ შემთხვევაში ვენცესლავ ბუდოვიცის. ვიმეორებთ, ეს არ უნდა ყოფილიყო რომელიმე კათოლიკე თუ პროტესტანტი სასულიერი პირის ძიების სურვილი, რათა მას ეზრუნა ყვარყვარეს ქრისტიანობაში განმტკიცებისათვის. ამის საჭიროება მას აქ არ ედგა. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ კავშირს უდავოდ ჰქონდა პოლიტიკური და რელიგიური მიზანი. კერძოდ, უფრო საფუძვლიანია ვიფიქროთ, რომ ყვარყვარე დაინტერესებულია პროტესტანტული რეფორმაციით, რათა ჩაწვდეს მის არსს. ამაში გვარწმუნებს ვენცესლავ ბუდოვიცის წერილიდან შემდეგი ადგილი. ***„მე, რაც კი შემეძლო, ვცდილობდი, ყველაფერი გამეკეთებინა და თარჯიმნის საშუალებით მოკლედ ვუპასუხე მის დაწვრილებით შეკითხვებზე გერმანიის ეკლესიების მდგომარეობის შესახებ; რამდენიმე დღის შემდეგ, ვიპოვე რა ბერძნულ ენაზე წიგნი ავგუსტინეს აღსარების შესახებ, რომელიც ბაზელში გამოქვეყნდა და დიდი რაოდენობით ბატონ სტეფან გერლახმა აქ ჩამოიტანა, ვაჩუქე უფროს ძმას (ყვარყვარეს-მ.პ.) ჩემი უბრწყინვალესი ბატონის (ჰაბსბურგთა ელჩის იოჰან სინცენდორფის-მ.პ.) ნებართვით, ჩემი და მისი წარწერით“*** (ტაბაღუა ი. დასახ. ლიტ., გვ. 222).

მოტანილი წყაროს ცნობა უშუალოდ ამოწმებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ყვარყვარე IV უდავოდ იყო დაინტერესებული პროტესტანტული რეფორმაციით. თუ არა, რას უნდა ნიშნავდეს, რომ სამცხე-საათაბაგოს ქართველი უფლისწული კითხვებს უსვამდა ვენცესლავს ***„გერმანული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ“,*** ცხადია, აინტერესებდა რეფორმაციის შედეგები გერმანიაში და, ბუნებრივია, ევროპაში. მისთვის, როგორც სამცხელისთვის, უცხო არ იყო კათოლიკობა და ახლა პროტესტანტული რეალობის მიმართ გამოიჩინა ინტერესი.

ამავე წყაროდან ისიც ჩანს, რომ ყვარყვარე საელჩოს სტუმარი იყო. ვენცესლავი არ ამბობს, რომ მას ბერძნულ ენაზე ავგუსტინეს აღსარება გაუგზავნა, არამედ გვეუბნება, აჩუქა პირადად, ალბათ საელჩოში ელჩისა და მისი წარწერით. „ყვარყვარემ კი ***„მიიღო რა კეთილგანწყობით ეს წიგნი, მან მაშინვე უბრძანა, ეთარგმნათ იგი თავის, იბერიულ ენაზე, თანაც დამპირდა, რომ ამ თარგმანს ბერძნულ წიგნთან ერთად თან წაიღებდა“*** (ტაბაღუა ი. დასახ. ლიტ., გვ. 222).

ასეთია ის ძირითადი წყარო, რომელიც ასახავს კონსტანტინოპოლში ყვარყვარე IV ათაბაგის კავშირსა და ინტერესს პროტესტანტული სამყაროსადმი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მოხმობილი მასალის საფუძველზე შესაძლებელი იყოს ზუსტი და შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კონსტანტინოპოლში პროტესტანტ და მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებს შორის დაწყებული დიალოგი XVI საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა (Orthodoxy and the West: Reformation to Enlightenment“ in The Cambridge History of Christianity, Vol. 5: Eastern Christianity, Michael Angold (ed.). Cambridge University Press, 2008, გვ. 188-191), შესაძლებელია ლუთერანებსა და კათოლიკეებს შორის განსხვავებაში გარკვევის სურვილმა და ინტერესმა უბიძგა ყვარყვარეს ჰაბსბურგთა საელჩოსადმი კავშირზე. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სულტანის კარი, ალბათ, ფხიზლად ადევნებდა თვალს ყვარყვარეს მოქმედებას და ასე თავისუფლად მისი კონტაქტი ჰაბსბურგთა საელჩოსთან, დასავლეთში ოსმალეთის ისტორიული მოწინააღმდეგის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, არ უნდა ყოფილიყო ადვილი, თუმცა ამაზე თვალის დახუჭვა ადვილი შესამჩნევია. ამ შემთხვევაშიც იმის გათვალისწინებით, რომ **სულტან სულეიმან I-ის** სურვილით კონსტანტინოპოლის მეჩეთში ლუთერის წარმატებისათვის ლოცვებს აწყობდნენ (Brotton J. Renaissance Bazaar: From Silk Road to Michelangelo. Oxford University Press, 2002, გვ. 116) და მის აღმავლობას ოსმალებისათვის სიკეთის მომასწავლებლად მიიჩნევდნენ (*იქვე*). უნდა ვივარაუდოთ, რომ სულტანის კარი შესაძლოა, მართლმადიდებლობის საპირისპიროდ, მიესალმებოდა კიდეც ყვარყვარეს პროტესტანტული სამყაროსადმი დაინტერესებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ყვარყვარე ათაბაგს კონსტანტინოპოლში მიეცა საშუალება, დაეკმაყოფილებინა თავისი ინტერესი, რათა კათოლიკობასა და პროტესტანტიზმს შორის განსხვავებებაში გარკვეულიყო. ასევე, სავარაუდოა, ამ ინტერესის ქვეშ იმალებოდა პოლიტიკური მიზანდასახულობაც.

მურმან პაპაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, შუა საუკუნეების ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი

სამცხე-საათაბაგოს ფალავნები

ჭიდაობა საქართველოში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ქართველი ფალავნები, რომელთა სახელები ისტორიულ წყაროებშია დაცული, საერთაშორისო შეჯიბრება – ფალავნობაში განსაკუთრებულ წარმატებებსაც აღწევდნენ.

„ქართლის ცხოვრებაში“ მემატიანე საგანგებოდ აღწერს ათაბაგ ყვარყვარე II-ის შვილის მზეჭაბუკის (ცხოვრობდა XV საუკუნის მეორე ნახევარში) ირანის ფალავან ძალასთან შერკინებას. „იყო უსჯულოსა მის მთავრისა კაცი ერთი, ფალავანთა თავი დიდი და გოლიათი, – წერს ისტორიკოსი, – რომელსაც სახელად ძალანი ეწოდება და ჰმატლა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყოთა ერთი ანუ უფროსცა და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინებელსა მისა, ამან ინება ოდესმე განმცდელობა მზეჭაბუკისი და, ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰყოფნა, არამედ ვითარცა ღომმან მსწრაფლ შებმა უყო და მინდობილმან ღმერთისა და ყოვლად წმიდისა აწყურისა ღმრთისმშობლისაგან აიყვანა და უპატიოდ მიწასა ზედა დასცა“ *(„ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1959, გვ. 479).*

ისტორიკოსის ცნობით, ძალანი ფალავანთა ხელმძღვანელი, ფალავანთა შორის პირველი, ჩემპიონთა-ჩემპიონია. ისტორიკოსი იქვე საგანგებოდ მიუთითებს, რომ ირანის მრავალრიცხოვან ლაშქარში არავინ იყო ძალანის შემბმელი – „არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ (რკინობა – ჭიდაობა. ვ.ა.) მისსა“. ამიტომაც უნდა გაკვირვებოდათ მისი დამარცხება, რომლის შესახებაც ისტორიკოსი წერს: „ესე რა იხილეს ყოველთა მათ ლაშქართა დიდებულთა ერთა დიდად განკვირვებულ იქმნეს და თქმად რასმე უღონო იყვნეს“, ე.ი. ჭიდაობის დამსწრე ლაშქარს და დიდებულებს ძალანის დამარცხება ისე მოულოდნელად მოსჩვენებიათ, რომ გაკვირვებისაგან ხმაც კი ვერ ამოუღიათ. ჭიდაობა 1478 წელს ირანში ჩატარებულა.

სამხრეთ საქართველოს მეორე წარმომადგენელი მზეჭაბუკი ათაბაგი ამირსპასალარ ყვარყვარეს ძმა, დახელოვნებული მოჭიდავე ყოფილა, კოპაძეთა მოსახსენებლით (როგორც ქრ. შარაშიძე მიუთითებს, 1553 წელზე ადრე) მზეჭაბუკი „ფალავანთა დამამხობელია“. ის რიგითი მოჭიდავე კი არ არის, არამედ

„მრავალთა და ძლიერთა და სახელდებულთა ფალავანთა დამამხობელია,“ იმისათვის რომ მას ეს წოდება დაემსახურებინა, ბუნებრივია, მონაწილეობა უნდა მიეღო მთელ რიგ შეჯიბრება-ფალავნობაში, არამარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნების ფალავანთა შერკინებებში და, ვფიქრობთ, იმიტომაც უნდა იყოს მოსახსენებელი საგამგებოდ აღნიშნული მის მიერ მრავალი, ძლიერი და სახელგანთქმული ფალავანთა დამარცხება.

მათზე არანაკლები უნდა ყოფილიყო XVI საუკუნის მეორე ნახევრის სამცხის ათაბაგი ყვარყვარე IV (დაიბადა 1546 წელს, გარდაიცვალა 1581 წელს), რომლის შესახებაც „მესხური მატიანე“ შემდეგს გვამცნობს: „პატრონი ყვარყვარე ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაც, ფალავანი დაეცა ხუანთქორთანა და ქართველობით გამოეშუა, მისისი საბატონოს წყალობით ექნა და მარტში მობძანდა“.

ყვარყვარე ათაბაგი მუსტაფა ფაშამ მოტყუებით წაიყვანა კონსტანტინეპოლში 1578 წლის ოქტომბერში და დაჰყო 1570 წლის მარტამდე. თავისი იშვიათი ღონის წყალობით ყვარყვარეს ხონთქართან ფალავანი დაუცია და ამ გამარჯვებით სარწმუნოებაც შეუნარჩუნებია და სამშობლოში დაბრუნების უფლებაც მოუპოვებია. კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს ყვარყვარეს გაუცვნია გერმანელი მისიონერი სოლომომ შვეიგერი, რომელიც ამავე წლებში (1578 წლის ივნისიდან 1581 წლის მაისამდე) კონსტანტინეპოლში ყოფილა. შვეიგერი ქ.ნიურნბერგში 1608 წელს გამოცემულ წიგნში ყვარყვარეს შესახებ წერს: „გარეგნობით ის იყო ძალიან დიდი კაცი და აგრეთვე ზორბა. არავინ ამის მსგავსი მე არ მინახავს არასდროს 30 წლის ასაკში“. შვეიგერი საკმაოდ დახელოვნებული მხატვარიც ყოფილა და მას დაუხატავს ყვარყვარე, რომლის სურათი გამოქვეყნებულია იმავე წიგნში (სურათი I).

როგორც ზემოთ მოყვანილი ისტორიული პირველწყაროებით ჩანს, სამხრეთ საქართველოში და, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში, დიდებულთა და დიდგვაროვანთა აღზრდის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უნდა სჭეროდა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას, რომლის პროგრამაშიც ერთ-ერთი პირველი ადგილი ჭიდაობას უნდა სჭეროდა. ეგრეთ წოდებულ კოპაძეთა მოსახსენებლით ირკვევა, რომ XV-XVI საუკუნის საქართველოში „საღმრთოდ – სამხედროდ აღზრდილობა“ – არსებობდა. მოსახსენებელში მზეჭაბუკის დახასიათებისას ვკითხულობთ: „საღმრთოდ-სამხედროდ აღზრდელთა პატრონის მზეჭაბუკისა და პატრონისა ქაიხოსროსი მრავალიმცა არიან დღენი და ჟამნი ცხოვრებისა მათისანი“, „საღმრთო-სამხედრო აღზრდელობის“ პროგრამა შეიცავდა: ცხენოსნობას („მხნედ მხედრობა“), ბურთაობას, ჭიდაობას, ნადირობას, შუბის ტყორცნას და მშვილდოსნობას, მწიგნობრობას, გალობას, რიტორიკას და სხვადასხვა ენების ცოდნას, ღვთის მეტყველებას, კაცთმოყვარეობას (ზნეობას). თუ აღზრდილს ყველა ეს გააჩნდა, მაშინ ასეთი აღზრდილი ითვლებოდა „საღვთო-საკაცობომდი ყოვლად სრული და ზნე-უკლები“.

„მესხურ მატიანეში“ შეტანილ მზეჭაბუკ ქაიხოსროს ძის ნეკროლოგში აღზრდა-განათლების ზოგადი რელიგიური (ქრისტიანული) საფუძვლის აღნიშვნის შემდეგ მემატიანე ჩამოთვლის თუ რა ცოდნის პატრონი იყო „სრული და ზნეულები“ მზეჭაბუკი: „სრული მწიგნობარ-მგალობელი და რიტორი, ხმაშუენერი, ენა ტკბილი, იცოდა სპარსული წიგნი და წერა და ენა თათრული, სპარსული და არაბული“. „საღმრთო-საკაცობრიომდელ ყოვლად სრული და ზნეუკლები.“ მზეჭაბუკი ამასთან ერთად ყოფილა ისეთი „მობურთალ-მოასპარეზე“, რომლის მსგავსი „არ გაჩენილა ქვეყანასა ზედა.“

ვ. აფრიდონიძე,
ქუთაისის პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.
გაზეთი „ასპინძა“, 17 თებერვალი, 1972 წ.

მოსე ბექაური – 90

ადამიანთა ცხოვრება თაობათა ცვლაა. ისინი ამქვეყნად მოდიან და მიდიან, ზოგი სახელს ტოვებს, ზოგი – ქონებას, მაგრამ ერთი კი ცხადია, სახელდატოვებული ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს.

მოსე ბექაური მთიელი კაცი იყო, რომელიც დუშეთის რაიონის მაღალმთიანი სოფლიდან სრულიად ახალგაზრდა, გეგმიური წესით, სხვებთან ერთად გადმოასახლეს ასპინძის რაიონის სოფელ იდუმალაში და მთელი

ლექსი უკვალოდ არ იკარგება!

დიდებულად უთქვამს ქართველ კაცს – „სახელი სჯობს ქონებასო“ და მოსე ბექაურმაც, ასპინძის დიდმა კოლორიტმა, ჭეშმარიტი სახელი დატოვა სამცხე-ჯავახეთსა თუ საქართველოს არაერთ კუთხეში, როგორც პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა.

მოსე ბექაური მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არც გლეხობას წუნობდა და არც სხვებზე მაღლა აყენებდა თავის თავს, მშრომელი კაცის ცხოვრებით იცხოვრა, – რიგითი კოლმეურნეც იყო და რამდენიმე ათეული წელი – სოფლის თავკაციც. თუმცა, მაშინაც კი, არც ცელი გაუგდია ხელიდან, არც მაღალმთიან ფერმებში მწყემსების გვერდით შრომა უთაკილია, ხშირად ილაჯგაწყვეტილთათვის დახმარების ხელიც გაუწვდია და მერე, შრომით დაღლილ-დაქანცულს იმის დროც გამოუძებნია, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ლექსები ქაღალდზე რომ გადაეტანა.

ცხოვრება წინაპართა მიწის ნოსტალგიასა და მესხეთის სიყვარულში გაატარა, ეს სიყვარული კი ყოველთვის ნათელ ვარსკვლავად კიაფობს მის პოეზიაში. მკითხველმაც ადვილად შეიყვარა და გაითავისა მისი ლექსები. ამიტომაცაა, რომ რეგიონში არ ყოფილა არცერთი ფოლკლორული ღონისძიება მას რომ არ გაეხარებინოს ხალხური პოეზიის თაყვანისმცემლები. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მის შემოქმედებას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ და სცემენ ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული და გოდერძი ჩოხელი, ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული და სხვები. იგი რამდენჯერმე გახდა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მიერ გამართული რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი.

მოსე ბექაური მრავალმხრივ გამორჩეული, სტუმარ-მასპინძლობით განთქმული კაცი იყო. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ დახურულა სტუმრისათვის მისი სახლის კარი. მას ყოველთვის ეამაყებოდა საკუთარი ხელით მოვლილი ვენახიდან მოწეული ყურძნით დაწურული ღვინით გამასპინძლება. რესპუბლიკის პირველი პირიდან დაწყებული, რიგით გლეხამდე დამთავრებული, უშურველად უყვარდა სუფრის გაშლა, საკუთარი ლექსების ჩონგურზე დამღერება და სტუმრის მოლხენა.

დიდი ქონება მოსე ბექაურმა შვილებისა და შვილიშვილების სახით დატოვა, საკუთარი პოეტური მარგალიტებით კი – სახელი და მოგონება.

ყოველთვის, როდესაც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდებოდა მისი ლექსები, რომელსაც ხშირად მთელ გვერდს ვუთმობდით, არაერთხელ შეგვიმჩნევია თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში გაზეთის თითოეული ნომერი და როგორ სიამოვნებით იზეპირებდნენ თაყვანისმცემლები მის ლექსებს, რომელთა ერთი ნაწილი შესულია „მესხური ფოლკლორის“ პირველ ტომში და ვიმედოვნებთ – მომავალში, „ქართული ხალხური პოეზიის“ ახალ გამოცემებს უდავოდ დაამშვენებს მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც სანთლით საძებარი კი არ არის, არამედ ყურძნის აკიდოსავით დახუნძლულია და რომელთაც დავიწყება არ უწერია.

ამ თვეში 90 წლისა გახდებოდა მოსე ბექაური. სამწუხაროდ, იგი ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ მისი საქმენი ღაღადებენ, რომ მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ მონატრების დიდი ტკივილებით გაჟღენთილ პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელ, მამაშვილური სიყვარულით გამთბარ გულიკო ბექაურის წერილს და თანასოფლელი სახალხო მთქმელის როლანდ აბულაძის მოსე ბექაურისადმი მიძღვნილ წერილსა და ლექსს, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, არც სახალხო მთქმელის სახელი იკარგება უკვალოდ და არც მისი ლამაზი სტრიქონები.

ავთანდილ ბერიძე

უზომოდ მონატრებული მამა...

უჩინო, სხვისი წარმატებით შენც უნდა გაიხარო, შენზე სუსტს ძალა აგრძნობინო, ღმერთი დაგინახავს და მადლით დაგხვდებაო.“

გავიდა 5 ტკივილიანი წელი... თუმცა ტკივილი ოდნავაც არ შენელებულა... პირიქით, უფრო მემატება და უფრო მძიმე ხდება უშენობა...

ყველა შენს ნათქვამ სიტყვას აზრი და შინაარსი ქონდა, მამა... რომ უნდა დაფიქრებულიყავი და რაღაც გესწავლა... ხშირად მიფიქრია, როგორ იყავი შინაგანად ასეთი გულისხმიერი, მტკიცე, ბავშვივით ალალი, საოცრად წერო, რაც გაგაკვირვებს, „ჩემ გულას რატომ შეეშალაო“. როგორ მიყვარდა რომ დამიძახებდი „გულას.“ ჩემი გული და სული ხარო, მაგით ვცოცხლობ და ვსუნთაქავ მამა... სათქმელი კი, ძალიან ბევრი მაქვს, სიტყვები კი ძალიან ცოტა, თუმცა რომელი სიტყვა შეამსუბუქებს ამ დარდსა და ნაღველს...

შენს მაგიდაზე უამრავი წიგნი დევს. კლასიკური ლიტერატურით დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით, გეოგრაფიით, ისტორიით დამთვარებული... ყველაფერი გაინტერესებდა...ყველაფერი იცოდი... ბოლო წუთამდე ღამეებს ათევდი კითხვაში... იმედებ, „რაც მოგერგებათ ყველაფერი უნდა აიტანოთო“ – ხშირად გვეტყოდი, ალბათ იმიტომ, რომ გაგვეძლო უშენოდ ყოფნისთვის, რაც ძალიან, ძალიან ძნელი ყოფილა...

90 წელი შესრულდა შენი დაბადებიდან. „ამაღლების დღეს დავიბადეო“, თან ხუმრობდი, ორჯერ მაქვს დაბადების დღე, ერთი ამაღლებას (რადგან სხვადსხვა დროს არის) და მეორე 5 ივნისს. მართლაც ორივეს აღვნიშნავდით ხოლმე, ამაღლებაც განსაკუთრებულად გიყვარდა... მეხუთე ამაღლებას და შენ დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ, ტკივილით, ცრემლით, მაგრამ უძლურები ვართ, მამა, სამყაროს ამ საშინელი კანონზომიერების მიმართ. შენი ერთი ლექსი მახსენდება:

„ერთი სიკვდილი მე ვერას მიზამს,
ეს კარგად ვიცი და მართლა მჯერა,
მოვკვდები, მაგრამ დარჩება ხიზანს
ჩემი ლექსი და ჩემი სიმღერა“.

მართლაც ასეა, მამა, ვკითხულობთ შენს ნაწერებს და ვფიქრობ ცხოვრებაზე, მომავალზე, თქვენ დიდ საქმეებზე, სიკეთის კეთებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, სოფელზე თუ ქალაქზე, ღირსეულ ადამიანობაზე და იმ ღირებულებებზე, რითაც გვზირდით და როგორებიც გინდოდათ რომ ვყოფილიყავით...

მოკრძალებით, მაგრამ მაინც ვიტყვი:

გვეამაყებით და უზომოდ გვენატრებით მამა...

ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი...

ძალიან მიჭირს... ვერა და ვერ შევძელი დამეწერა და ჩემი ემოცია გადმომეცა მამაზე, რადგან დღესაც წარმოუდგენლად მძიმე და ტკივილიანია იმის გაცნობიერება, რომ აღარ არის ცოცხალი... ვწერ და ცრემლები მახრჩობს... ვწერ და ვფიქრობ არაჩვეულებრივ და სამაგალითო მშობელზე, პიროვნებაზე, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ალალად ემსახურა ქვეყანას, რაიონს, სოფელს, ოჯახს, ყველას, სადაც ჭირდებოდათ თანადგომა, ლხინის გაზიარება, სტუმრის დახვედრა, ყველგან, ყველგან, სიხარულით ელოდებოდნენ... ლხინის და ქეიფის სული და გული იყო... უყვარდათ... ენდობოდნენ... სიკეთე იყო მისი ცხოვრების კრედო. ამიტომ ხშირად ამბობდა:

„სანამ ცოცხალი ხარ, სიკეთე უნდა აკეთო, ადამიანს დაეხმარო, უიმედოს იმედი გა-

წესრიგის მოყვარული, აღარაფერს ვამბობ სტუმართმოყვარეობაზე, რომელიც ყველამ კარგად იცის, ვისაც მოუსმენია შენი ლექსი, სიმღერა, შენი საოცარი ლოცვა...

რა გითხრა...როგორ გადმოვცე ჩემი განცდა და მონატრება...

დედიკოს (ასე მივმართავდი მთელი ცხოვრება) სიკვდილის შემდეგ, არ მავიწყდება, როგორ ცდილობდი, ჩვენთვის ტკივილის შემსუბუქებას, თავად დარდიანს და ცრემლიანს კი ხშირად გხედავდი...

კობას სიკვდილმა ხომ თავზარი დაგვცა და გული გაგვიგლიჯა მამა... სრულიად სხვა თვალით დაგვანახა ეს სამყარო და წუთისოფელი.

„მშობელს შვილი არ უნდა უკვდებოდესო, ხშირად ამბობდი, რაღა ფასი აქვს ჩემ სიცოცხლესო“ და ისე ამოიოხრებდი, გასაგები იყო შენი განცდა და ტკივილი.

ვიცი ყველაფერს იგრძნობ, ამიტომ არ მინდა რამე შემეშალოს, ისეთი რამ არ დავ-

ჩვენგანაც იგივეს ითხოვდი... ყველა კითხვაზე უნდა გქონდეთ პასუხიო, ერთხელ მითხარი და მუდმივად ვცდილობთ ამ პრინციპებს მივყვეთ ისე, როგორც თქვენ გაგიხარდებოდათ, შენ და დედაჩემს...

ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და პროფესიამ ბევრ კითხვაზე გამცა პასუხი ერთის გარდა – რატომ ამხელა ტკივილი? ვეღარ ვიტევ და ვეღარ ვუძლებ, მამა, მაგრამ მეშინია... ვიცი, იგრძნობთ ამას და ვიცი ძალიან გატკენთ გულს... ამიტომ, ამ დროს მინდა უფრო ძლიერი ვიყო, თქვენ რომ გაგიხარდებოდათ, თქვენ რომ იამაყებდით...

ხომ იცი, მამა, არ მიყვარს ჩემ განცდებზე წერა და ვიცი, მომიტევებ, შენი დიდი და ბავშვივით ალალი გულით...

როცა ძალიან მიჭირს შენს საფლავთან მოვრბივარ სანუგეშოდ... მარადიული სამყაროდანაც გვეხმარები, გვაძლიერებ, გვა-

გულიკო ბექაური

იყო კაცი და იყო სოფელი...

„მე მაქვს საკუთარი წისქვილიო“ – წერს იგი თავის ბიოგრაფიაში და განა მეტი დახასიათება უნდა ქართველ კაცს, რომელსაც აქვს საკუთარი წისქვილი და აქვს ლექსების წიგნი“. ეს სიტყვები დიდი ქართველი მწერლის გოდერძი ჩოხელისაა, თქმული მოსე ბექაურის მისამართით და მისივე ხელით წარწერილი ბატონ მოსეს ლექსების კრებულზე.

მართლაც მეტი რა დახასიათება-ღა უნდა კაცს, რომელმაც მეოთხედი საუკუნე მუხლჩაუხრელად და კეთილსინდისიერად იმუშავა სოფლის თავკაცად. მისი ერთსართულიანი სახლი, ღვინის სარდაფითა და კოპწია ეზოთი, რომელსაც საერთოდ არ ეტყობოდა რომ თავმჯდომარისა იყო, ბევრი სტუმრის მიმღები და გამცილებელიც გახლდათ ძია მოსესა და მისი მეუღლის ეთერ ალავიძის ხელში. ჩონგურის, აკარდიონის თუ პიანინოს ფონზე ბევრს უტარებია აქ დრო – გამოჩენილი მწერლების, პოეტების, რეჟისორებისა თუ რესპუბლიკის პირველი პირებით დაწყებული, ბახუსის მისალებად საღერღელაშლილი სოფლის ბიჭებით დამთავრებული.

იყო კაცი და იყო სოფელი.

მოსე ბექაურის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 5 წელი გავიდა. ასეულობით ლექსი და რამდენიმე რომანი დაგვიტოვა ძია მოსემ სამზეოზე.

2012 წელს რესპუბლიკურ ფესტივალზე საუკეთესო სახალხო მთქმელად აღიარეს და ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

5 ივნისს კვლავ ახმიანდება მისი სახლკარი და ეზო, 1933 წლის ამაღლება დღეს დაბადებულს გაიხსენებენ მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გულიკო ბექაური უმასპინძლებს მოწვეულ სტუმრებს.

იყო კაცი და დარჩა სოფელი, ჩუმი, დოვლათიდან დაცლილი, მაგრამ მაინც ცოცხალი და იმედიანი, რომელიც „ისე ირჩევა მესხეთში, როგორც რძეში ნაღები“.

ძია მოსეს ხსოვნას

ობოლი ბიჭი ვიყავი,
ბედმა სად აღარ მატარა,
ჩემი ლამაზი სამშობლო
სულ ფეხით შემომატარა.
ბოლოს დავსახლდი მესხეთში,
უკვე ყრმა, განა პატარა,
მთისა და ხევის ტრფიალი
არაგვმა გამომატანა.
აქვე შევქმენი ოჯახი,
სამცხის მზე მწვავდა თაკარა,
მეც გამამხნევა ამ მზემა,
სხვა მნათობს არ გამაკარა.
ობოლმა დედა ვახარე,
ვინაც მშობა და მახარა,
მესხეთს მიზარდა შვილები,
მეუღლე, ხუთი პატარა.
იდუმლის ვიყავ თავკაცი,
ცხენიც მყოლია საღარა,
ვხნავდით, ვთესავდით ტოლები,
აქ ოფლი ბევრმა დაღვარა.
ნიალის ველის ნიავმა
მათთან მაგრილა, მახანა,
ვამრავლეთ ქვეყნის დოვლათი,
ჩვენ ფარამ მთები დაფარა.
ფეხით ვიდოდით ვარძიას,
გვესალმებოდა აგარა,
ლებისში შრომის ფერხულში
უკრავდა ჩვენი ნაღარა.
შემომეპარა სიბერე,
თამაში და წვერში – ჭაღარა,
შვილიშვილების მზის სხივმა
გულის გულამდე ატანა.
შვილიშვილებმაც მამრავლეს,
როგორც ფუტკარი ნაყარმა,
ბევრჯერ დასჭექა მაყრული
იდუმალიდან მაყარმა.
ბოლოს წისქვილის ღუღუნში
მუზამ ცის მადლი მაყარა,
ვწერდი ლექსებს და რომანებს,
სხვა ფიქრი მქონდა აღარა.
სახალხო მთქმელად ვიქეცი,
ფიქრებმა მეტად დამღარა,
ვეტრფოდი მე ჩემს სამშობლოს,
საქმემ მაინც ვერ დამღალა.
ვუვლიდი ეზოს და ვენახს,
ვაზმა გვინახა, გვახარა,
ლომისის სანთელს ვუნთებდი,
ვეყმე ვარძიას, საფარას.
ანდერძად დაგიტოვებდით –
პურს ნურვინ შეშჭამთ ნაპარავს,
ალალი შრომით იცხოვრეთ,
მიჰყევთ წინაპართ ნაკვალავს!
იქ სადაც ძალა ვერა სჭრის,
უკვალავს ცოდნით გაჰკვალავთ,
ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოს
სხვას ნუ გაუხდით სამკალად.

როლანდ აბულაძე

მოსე ბექაური
(„შარვანეული”)

დარდი

დარდო, რა ძნელი ყოფილხარ,
არ არის შენი სადარი,
შენა გყავს დამონებული
ამ ქვეყანაზე რაც არი.

კაცს ისე დააბეჩავებ
და ისე გახდი სნეულსა,
სულ გადააქცევ ძვალ-ტყავად
ვაჟკაცსა გამორჩეულსა.

სიკვდილსაც ვერ შეგადარებ –
ქვეყნად ყველაზე წყეულსა,
უცბად ამშვიდებს თავის მსხვერპლს
ჭკვიანსა, გადარეულსა.

შენ კი დაწვავ და დაადნობ
წყლულად გადუქცევ სხეულსა,
რა დააყუჩებს ტკივილებს
შენგნიდან გამოწვეულსა.

ნეტავ არ შემეყრებოდე,
იღბალი მომცა იმდენა,
მაგრამ რას მიზამ, მე მიშველს
ჩემი ლექსი და სიმღერა.

სამშობლოს

სამშობლოვ, ჩემი სუნთქვა ხარ,
სიცოცხლე, ფეთქვა გულისა,
ჩემთვის სიცოცხლის მომცემო –
ჰაერის, წყლის და პურისა.
ამიტომ, ჩემო სამშობლოვ,
მე შენ გეკუთვნი მთლიანად,
თუ ჩემში რამე არსებობს
მთელი ჩემ სიცოცხლიანად;
თუ შეგანუხა გვალვამა
და დაგიმონა ფესვები,
შენია ჩემი სიცოცხლე
სულ სისხლად დაგეწვეთები.

გულის ტკივილი

მიხაროდა და ვამბობდი
გული მაქვს-მეთქი, მაგარი,
თანაც ვამბობდი კვეხნითა –
ის არც კი ვიცი სად არი,

არც ის ვიცოდი, ბეჩავმა,
თურმე, არ ვიყავ მართალი,
გული გამიხდა ცუდადა,
სულ დატრიალდა სახლ-კარი,

ერთ დღეს მიმუხთლა სამჯერა,
მივხვდი ,საქმეა წამხდარი,
დავრწმუნდი. არა მქონია
საქმე საკვეხრად გამხდარი,

გამაგრდი გულო, ნუ მომკლავ,
დღეს შენგანა ვარ დამწვარი,
თუ არა, ვერ შემაშინებ,
მე არ გეგონო ლაჩარი.

ლექსია ჩემი სიცოცხლე

ლექსია ჩემი სიცოცხლე,
ჩემი მთა, ჩემი ბარია,
ჩემი ცხოვრების მიზანი,
ჩემი სახლი და კარია,
ჩემი ყოფა და ცხოვრება
ჩემი ტკბილი და მწარეა,
დილის მზე ცაზე კაშკაშა,
ღამე მნათობი მთვარეა...
დალაგებული ხიზანი,
სახლში, ძროხა და ცხვარია,
ისე ბობოქრობს ძარღვებში,
როგორც არაგვის წყალია,
როგორც მაღალი მთებიდან,
დაქანებული ზვავია,
მოდის და ლეწავს ყველაფერს,
ვით ხევის ნიაღვარია,
ღმერთო, შენს სახელს ვენაცვლე,
ჯერ კიდევ შემიბრალია,
სულ ნუ დამიშრეტ სხივებსა,
შენ კალთა დამაფარია.
ეს მაინც არ დამიბრმავდეს –
ეს ინვალიდი თვალია,
თუ მაინც სულ დავბრმავდები,
დედასთან წამიყვანია.

დედის ლოცვა

იჟინჟღლება, ცას ღრუბელი ფარავს,
ცივა, ბერავს შემოდგომის ქარი,
სანთლის შუქი მოეფარა კარავს,
მუხლმოყრილი ილოცება ქალი.

ღმერთო, იხსენ მტრის ტყვიისგან ბიჭი!
დედისერთა, სანატრელი შვილი,
მოდარაჯე მამა-პაპის მიწის,
მის დამცველად მკერდით გამოზრდილი.

გამარჯვება თუ მაინც მტერს ერგო,
დაგვილეწა საქართველოს კარი,
დამარცხებულს ნუ მანახებ, ღმერთო,
მირჩევნია, რომ იქ დარჩეს მკვდარი.

ფიქრო, შე ოხერტიალო...

ჩონგური უნდა ჩამოვკრა,
ლარები ავახმიანო,
რომ არ ჩამოვრჩე ქვეყანას
და რომ არ დავაგვიანო;

გულს დარდი გადავაყოლო,
ფარ-ხმალი დავატრიალო,
იქნებ ცოტა ხანს მომშორდე
ფიქრო, შე ოხერტიალო!

ჩამოვჯდები თუ დავწვები,
ფიქრები აიშლებიან,
მომატარებენ მთა-ბარსა,
განა კი დაიღლებიან;

გულით მინდა თუ არ მინდა,
მაინც წინ დამიხვდებიან,
ნიადაგ მათი შემყურე
როგორ არ დავბერდებია...

მაინც წინ შემომყრები
კაცის მტანჯველი გქვიანო,
ვერ დაგემალე ვერასდროს
ფიქრო, შე ოხერტიალო.

მერცხალს...

მოფრინდი ჩემო მერცხალო,
გამხარებელო გულისა,
ბევრჯერ ხალხისთვის გეხაროს
დღეები სიხარულისა.

მოხველ და მოგაქვს ხმაური,
გამოცოცხლება, ხალისი,
რამდენ ეზო-კარს ჩაუვლი
და რწმენა მოგაქვს ხვალისი.

შემოფრინდები მღელვარე,
ხალისით ეზო-კარებში,
რა სიხარული ელვარებს
ბავშვთა ჟუჟუნა თვალებში;

ბარტყებს დაჩეკავ, დააფრენ,
ელი ოქტომბრის დადგომას,
წახვალ, რომ ისევ დაბრუნდე
რწმენით მომავალ აღდგომას.

შენს მოსვლას მუდამ მოჰქონდეს
მშვიდობა, ხვავი, ბარაქა,
აბა, კაცს მეტი რა უნდა –
მთაში სოფლად და ქალაქად.

***

კაცი მაშინ ხარ კაცური, –
გაქვს სწავლა, დიდი გონება,
რომ სხვას არ უზამ რაც შენთვის,
არასდროს მოგეწონება.

უფალსა ბოროტებისთვის
მანძილი არ ეშორება,
მოვა და ოხრად დაგრჩება
სახლი, კარი და ქონება.

ჩვენ მივდივართ და ცხოვრება რჩება...

ჩვენ რომ ვბერდებით, იქით მივდივართ,
თან მიგვაქვს ჩვენი ცხოვრების წლები,
გაივლის დრო და... ბენვზე ვკიდივართ,
გავჩნდით, მოვედით და უცბად ვკვდებით.

ჩვენი წასვლის წინ ასე გვგონია,
ცხოვრება ჩვენს წინ მიდის და ქრება,
ეს ჩვენგან მხოლოდ მონაგონია,
ის მუდამ იყო, არის და რჩება.

მთვარე ჩვეულად ისევ ანათებს
და მიწას სხივი დანათის მზისა,
ცხოვრება ხალხში ისევ განაგებს,
ჩვეულად მიდის, არაფერს შლისა.

კაცობრიობა მოდის და მიდის,
ერთი თუ კვდება სხვა იბადება,
ცხოვრებას თავის წესი აქვს დიდი,
ის ძველებურად ადგილზე რჩება.

მუდამ ასეა ეს ორი მცნება,
ცხოვრების რიტმი მუდამ ხმიანობს,
ჩვენ რომ მივდივართ, ცხოვრება რჩება,
დაიმახსოვრე, ადამიანო!

ერთი ღიმილი...

ერთი ღიმილი ჩემთვისა
რად გენანება ქალაო,
განა კი გადავიწვები
არა ვარ ბზე და ჩალაო.

თუ ცეცხლი მომეკიდება
შენს გასათბობად კმარაო,
არ დავიწვები მთლიანად,
შემწევს იმდენი ძალაო.

მეორედ ავჯეჯილდები,
როგორც ნახნავში ყანაო,
დაგწვავ ახალი ცეცხლითა
და ჩაგიყოლებ თანაო.

ჩემო ასპინძავ

მიყვარხარ ჩემო ასპინძავ,
შენ მთა-ველზე ვარ გაზრდილი,
ჩემი შვილების დედა ხარ,
ჩემი ცხოვრების მანდილი.
ბიჭი მოვედი შენს მკერდზე
მამა-პაპათა ძახილით,
მოვედი, დამხვდი მასპინძლად,
ალალი, გულგადაშლილი.
გამზარდე, დამავაჟკაცე
და გამიმრავლე ხიზანი,
გულს სიყვარული ჩამიდე--
ჩემი ცხოვრების მიზანი.
დიდ შრომამ დამასნეულა,
მაგრამ მკერდი მაქვს რვალისა,
შიგ სიყვარული ყვავილობს
შენი, დედის და ქალისა.
შვილების, შვილიშვილების
შენი მთისა და ბარისა,
ვარძიის დედაღვთისმშობლის,
მეფე თამარი ქალისა,
დედის ქართველი ერისას,
სადარს მზისას და მთვარისას.
იცოცხლე, ჩემო ასპინძავ,
შენი აწყმო და წარსულით,
მზე დაგნათოდეს მშვიდობის
ლალის მძივებით ასხმული,
გშვენოდეს სარწმუნოება,
ენა, მამული, ქართული.

მაინც სიცოცხლეს ვუმღერი

ცხოვრება ცუდად წავიდა,
თითქოსდა გულით მკვდარი ვარ,
მაინც სიყვარულს ვადიდებ,
სიცოცხლის მომღერალი ვარ.
იქ, სად აკვანი დაირწა
მის სიყვარულით მკვდარი ვარ,
ათ თავდადებულ რაინდთან
მე მეთერთმეტე ცალი ვარ.
გულში სიმი მაქვს გაბმული,
თენების ტკბილი ზარი ვარ,
ოჯახში, შვილთა ალერსით,
კავში გაბმული ხარი ვარ.
სიყვარულის და ალერსის
ქალის ტრფიალის თვალი ვარ,
კეთილის მოტრფიალე ვარ,
ბოროტებისთვის ავი ვარ.
ძმაკაცებს გვერდში ვეგულვი
ლხინის, ქეიფის თავი ვარ.
ლექსი ბობოქრობს ჩემს გულში,
დაქანებული ზვავი ვარ.
როცა რომ გული ხალისობს
ვარდის ბუჩქივით ვყვავივარ,
თუ გული რამემ მატკინა
ძველ რკინასავით შავი ვარ,
თვალებით ინვალიდი ვარ,
იმქვეყნად მიმავალი ვარ,
ალალ სიყვარულს ვუმღერი –
სიცოცხლის ნატრვისთვალი ვარ.

ერთი სიკვდილი მე ვერას მიზამს

აჰა, ერთი დღეც უკვე დამაკლდა,
მზე მიიწვერა, დღეს გასდის ვადა,
თითქოს დავბერდი, გული მაქვს მაგრა
და ვჯიელდები მე თანდითანა.

ჯერ სიბერეზე არ მინდა ფიქრი,
მიტომ, რომ ბევრი მაქვს დასაწერი,
ჯერ ჯიელი ვარ, ფიქრებში მივქრი,
ვზივარ, ვწევარ და სიზმარშიც ვმღერი.

ერთი სიკვდილი მე ვერას მიზამს,
ეს კარგად ვიცი და მართლა მჯერა,
მოვკვდები, მაგრამ დარჩება ხიზანს
ჩემი ლექსი და ჩემი სიმღერა.

ტამპლიერების საიდუმლო

თამაზ ჩიკვაიძე

XII საუკუნეში ქრისტიანული ეკლესია უკვე აღარ გავდა პატარა იუდეიურ სექტას, როგორც იყო მისი შექმნის დასაწყისში. მისი გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა სფეროში. ამ პერიოდში ქრისტიანულ სამყაროში მეფობდა აბატი ბერნარ კლერვოსელი, მწერალი-მისტიკოსი, შესანიშნავი ორატორი, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორი, რომელიც, მის სიცოცხლეშივე, წმინდანად შერაცხეს. მის იდეებს იზიარებდნენ რომის პაპები, ფეოდალები კი შიშით უყურებდნენ ამ კაცის ავტორიტეტის ძლევამოსილ ზრდას.

ამ პირობებში 1128 წელს ბერნარმა ჩამოაყალიბა რაინდთა სამხედრო-ტაძრეულთა ტამპლიერების ორდენი, რომლის ძირითად ბირთვს ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებული რაინდები შეადგენდნენ. თავდაპირველად ორდენი დაფუძნდა დასავლეთ ევროპაში, რომელიც მოიცავდა საფრანგეთის, კატალონიის, არაგონის, მალიორკის, გერმანიის, იტალიის, სიცილიის და ინგლისის ტერიტორიებს.

XIV საუკუნის დასაწყისში ორდენი უკვე ფლობდა ათიათასზე მეტ სამფლობელოს, რომელთაგან ათასი მარტო საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო. ორდენი შედგებოდა სამი კატეგორიის საძმისაგან, მათ შორის მთავარი იყო კეთილშობილ რაინდთა კასტა. გარდა ამისა, ორდენის წევრები იყვნენ ეკლესიის მსახურები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები, პალესტინიდან წამოყვანილი შავკანიანი მონები.

ორდენის სათავეში იყო დიდი მაგისტრი, რომელსაც ირჩევდა დასავლეთ ევროპის ცხრა პროვინციის წარმომადგენელთა კრება. იგი ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას. გარდა რაინდების ახალი მიღების საკითხისა, ორდენის ქონების გაყიდვისა და რეგიონების ხელმძღვანელთა დანიშვნისა, ამ საკითხებს საერთო კრება წყვეტდა.

ტამპლიერები თავიანთი ძალაუფლების გარდა არ ცნობდნენ არავის ძალაუფლებას, მიუხედავად იმისა, ვის ტერიტორიაზეც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. ორდენი არ იხდიდა არავითარ გადასახადს, მათ შორის, არც საეკლესიო და არც საბაჟო გადასახადს. მათ ყავდათ საკუთრი პოლიცია და ტრიბუნალი. დიდი მაგისტრი ფორმალურად მხოლოდ რომის პაპს ემორჩილებოდა, რომელსაც მისი ეშინოდა.

ტამპლიერებს ასევე ჰქონდათ ძლიერი სამხედრო რესურსი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 15 ათას რაინდსა და 45 ათას სერჟანტს. თუ არ ჩავთვლით ეკლესიის მსახურებს, გლეხებს, ხელოსნებს და ვასალებს, ეს არმია გაფანტული იყო ძველ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და მასშტაბური ომები არ შეეძლო. სამაგიეროდ შეეძლო ორდენის ქონების და ფასეულობების დაცვა მთელ ტერიტორიაზე. ორდენის დებულება თავის წევრებს ავალებდა მომჭირნეობით დაეგროვებინათ ქონება და კრძალავდა ფასეულობის გაყიდვას უმაღლესი საბჭოს ნებართვის გარეშე. მათი სიძუნწე იქამდე მიდიოდა, რომ ფული ტყვედ ჩავარდნილი ორდენის წევრების გამოსახსნელადაც ენანებოდათ.

ტამპლიერებმა შექმნეს ფლოტი და ხმელთაშუა ზღვაზე ხელში ჩაიგდეს ვაჭრობის მთელი მონოპოლია. მათ ხომალდებს გადაჰყავდათ ჯვაროსნები წმინდა მიწაზე. ამის გარდა მათი მომსახურებით სარგებლობდნენ ვაჭრები, დიდებულები და მოსახლეობის სხვა ფენები. ევროპიდან გაჰქონდათ იარაღი, ცხენები, სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, ხოლო შემოჰქონდათ – ღვინო, შაქარი და სუნელებლები ინდოეთიდან, ქსოვილები – დამასკოდან, ნოხები და აბრეშუმი – ირანიდან, პარფიუმერია – არაბეთიდან. ორდენის წევრებისაგან მხარდაჭერა რომ მიეღოთ, მონარქები და მდიდარი ფეოდალები მათ აძლევდნენ მიწებს, ციხე-კოშკებს, მდინარეებს, ტყეებს.

ტამპლიერებმა შექმნეს თავიანთი ბანკი ათასი განშტოებით. კომერსანტები ბანკში ინახავდნენ ოქროს და სხვა ფასეულობებს, რომლებსაც ორდენის წევრები უშვებდნენ ბრუნვაში დიდი პროცენტების სანაცვლოდ. ორდენი გახდა მსხვილი მევახშე ორგანიზაცია თითქმის მთელ ევროპაში.

1140 წლიდან სამღვდელოებამ და საქალაქო კომუნებმა დაიწყეს გოთურ სტილში გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსების მშენებლობები. ქალაქების მესვეურებს თუმცა მცირე თანხები გააჩნდათ, თუკი ასეთი თანხები გამოჩნდებოდა, მას ქალაქის კედლების გამაგრებაზე ხარჯავდნენ. მიუხედავად ამისა, საფრანგეთში მოინახა თანხები უზარმაზარი ეკლესია-მონასტრების მშენებლობისთვის. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ასეთი თანხების გამოყოფა, ეს ტამპლიერების ორდენი იყო. 100 წელზე ნაკლებ დროში საფრანგეთში აშენდა ოთხმოცი უზარმაზარი, ხოლო სამოცდაათი შედარებით მცირე ზომის ტაძარი. მშენებლობა მოითხოვდა უამრავ მუშახელს, ხოლო მათ ხელფასს ვექსილებით ვერ გადაუხდიდნენ. საჭირო იყო ლითონის ფულიც, რომელიც მაშინ იშვიათობა იყო. განსაკუთრებით ვერცხლის ფული. ევროპაში ძვირფასი ლითონების მოპოვება კი, პრაქტიკულად, არ ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ვერცხლის საბადოები გერმანიაში, ჩეხეთსა და რუსეთში, ტამპლიერები მაინც ჭრიდნენ უამრავ ვერცხლის ფულს.

თუმცა საიდან გაჩნდა ამდენი ვერცხლის ფული, ეს არავინ იცოდა. საერთოდ, ტამპლიერები ბევრ გადაწყვეტილებას იღებდნენ უაღრესად საიდუმლოდ. ორდენის არქივები კი საიდუმლოებით მოცულ სიტუაციებში გააქრეს.

ორდენის ისტორიაში ბევრი აუხსნელი ფაქტი არსებობს. ერთი-ერთი მათგანი მის ფლოტს ეხება. ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მათ ჰქონდათ საგანგებოდ გამაგრებული პორტი ლაროშელი. იგი ისედაც ბუნებრივად იყო გამაგრებული და ძნელად ასაღები, რაშიც გვიან დარწმუნდა კარდინალი რიშელიე. ეს პორტი ძლიერ შორს იყო როგორც ინგლისის, ასევე პორტუგალიის ნაპირებიდან. იგი ქალაქ ნანტიდან 150, ხოლო რუანიდან – 70 კილომეტრით იყო დაშორებული. ისმის კითხვა? რატომ იყო ეს პორტი ასეთი მნიშვნელოვანი ორდენისათვის, რომელიც აკონტროლებდა ვრცელ ტერიტორიას და მისკენ საფრანგეთის ყველა მხრიდან მიემართებოდა სპეციალურად გაკონტროლებული გზები.

ორდენი დღითი დღე ძლიერდებოდა. 200 წლის მანძილზე არავისი და არაფრის არ ეშინოდათ. ასე გრძელდებოდა 1307 წლის 12 ოქტომბრამდე, იქამდე, სანამ საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზმა ორდენის წინააღმდეგ არ წამოიწყო მოულოდნელი და ძალიან ეფექტური შეტევა. ტამპლიერებს დააბრალეს მწვალებლობა, მასიურად დააპატიმრეს რაინდთა მთელი საძმო, მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია, რომის პაპმა ორდენი გაუქმებულად გამოაცხადა, რის შედეგადაც საქმეში ჩაერთო ინკვიზიცია. წამებით დაკითხვის დროს ერთ-ერთმა რაინდმა ჟან დე შალონმა აღიარა, რომ წინა ღამეს პარიზიდან გავიდა ორდენის ქონებით დატვირთული ფურგონები, რომელსაც რაინდთა გაძლიერებული რაზმი აცილებდა. მათ პორტლაროშელში ელოდებოდა 17 გემი. მიუხედავად საფრანგეთის მეფის მიერ გატარებული მკაცრი ზომებისა, გემების ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ისინი თითქოს აორთქლდნენო.

მკვლევართა წინაშე სამი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა:

1). საიდან იღებდნენ ტამპლიერები ვერცხლს, მაშინ, როცა ევროპის ტერიტორიაზე საბადოები ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი?

2). რისთვის უნდოდათ ასე დაშორებული პორტი?

3). სად გაქრა უკვალოდ პორტში მყოფი ორდენის ქონებით დატვირთული გემები?

ნორმანდიელმა ისტორიკოსმა ჟან დე ლა ვარანდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტამპლიერები ლაროშელის პორტში ვერცხლს ღებულობდნენ მექსიკიდან. ბურგონის ქალაქ ვარელაის ტამპლიერების ტაძრის ფრესკაზე გამოსახულ ქრისტეს თავს ევლება მამაკაცი, ქალი და ბავშვი, რომლებსაც არაპროპორციულად დიდი ყურის ნიჟარები აქვთ, მამაკაცს კი ფრთებით შემოსილი ტანსაცმელი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ინდიელებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო თავზე ახურავს ვიკინგების მუზარადი. ცნობილია, რომ ინკები ყურის ბიბილოს დასაგრძელებლად იყენებდნენ ოქროსა და სპილენძის რგოლებს. უეჭველია, რომ ორდენის რაინდებმა იცოდნენ ამერიკის კონტინენტზე ვიკინგების ყოფნის შესახებ.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საფრანგეთის მუზეუმის არქივებში აღმოჩნდა 1307 წელს საფრანგეთის მეფის მიერ ჩამორთმეული ორდენის ბეჭდები, რომელთაგან ერთ-ერთზე (დიდი მაგისტრის ბეჭედზე) არის წარწერა. ორდენის საიდუმლო ბეჭედის ცენტრში გამოსახულია მამაკაცი, რომელიც შეიძლება მხოლოდ სამხრეთ ამერიკელი ინდიელი იყოს. მას თავზე ფრთებით შეკრული თავსაბურავი ახურავს. მარჯვენა ხელში უკავია მშვილდი, რომლის ქვეშ გამოსახულია სვასტიკა ჯვარი, რომელიც გავრცელებული იყო სკანდინავიის ვიკინგებს შორის.

ჭეშმარიტებაა – ტამპლიერებმა იცოდნენ ამერიკის კონტინენტის არსებობის შესახებ. ეს იყო მათი დიდი საიდუმლო. ისეთი საიდუმლო, რომლის შესახებ ორდენის პირველმა რაინდებმაც კი არ იცოდნენ.

ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ საიდუმლოს წარმოშობა. X საუკუნეში ვიკინგებმა ფაქტიურად 22 წელი გაატარეს მექსიკაში, სანამ პერუში გადავიდოდნენ და ტიაუანაკოს იმპერიას დააარსებდნენ. ირლანდიელებმა ამ დროისათვის უკვე მყარად აითვისეს დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი სანაპირო. XI საუკუნეში ნორვეგიელმა ვიკინგებმა თანამედროვე მასაჩუსეტსის შტატის ტერიტორიაზე კოკონიები შექმნეს ისე, რომ არ წყვეტდნენ სკანდინავიასთან კავშირს.

არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ მექსიკელმა ინდიელებმა დაახლოებით ათასი წელი იცოდნენ ლითონის დამუშავების ტექნოლოგია. სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ 967 წელს მექსიკას ეწვია ვიკინგი ულმანი. მანამდე ინდიელები ლითონის ნაკეთობებს არ ხმარობდნენ, ის არ ჰქონდათ არც მაიას ტომს.

პერუში, ცენტრალურ ამერიკასთან შედარებით, მეტალურგია კარგად იყო განვითარებული. აქ ამუშავებდნენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, ბრინჯაოს და თვით პლატინასაც. მათ შეეძლოთ ლითონის გადადნობა, შედუღება და ფორმებში ჩამოსხმა, იცოდნენ ვერცხლის ოქროთი დაფარვა ისე, რასაც დღეს თანამედროვე მეტალურგები აკეთებენ ელექტროლიზის საშუალებით. ამერიკის კონტინენტის კოლუმბისწინა ცივილიზაციებსაც ჰქონდათ ერთი საერთო ნიშან-თვისება – ქვის ნაგებობები და სკულპტურები. მათ შეეძლოთ ყველაზე მაგარი ქვის დამუშავება მაშინ, როცა თანამედროვე ქვის საჭრელი ინსტრუმენტებით შეიარაღებული სპეციალისტები ამას გაჭირვებით ახერხებენ. მაშინდელი ამერიკის კონტინენტზე დღემდე არ არის აღმოჩენილი რკინის და ფოლადის ინსტრუმენტები. ნაპოვნია სპილენძის და ბრინჯაოს ბევრი ნაკეთობა, მაგრამ ამ რბილი ლითონით მაგარი ჯიშის ქვების დამუშავება შეუძლებელია. როგორც ცნობილია, რკინა, დროთა განმავლობაში, ჟანგდება და ქრება, ისე რომ კვალსაც არ ტოვებს.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ძველი ეგვიპტელები რკინას იყენებდნენ, თუმცა ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამაში ნაპოვნი რკინის საგნების აღმოჩენამდე არც ერთი ეგზემპლარი არქეოლოგებს არ შეხვედრიათ.

967 წელს ამერიკის კონტინენტზე მისულ ვიკინგებს, უეჭველია, ჰქონდათ ფოლადის სამეურნეო ნივთები და იარაღი. მათთვის ათასხუთასი წელი მაინც იყო დამთავრებული ბრინჯაოს ეპოქიდან. იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც მათ მექსიკაში გაატარეს, არ მოხერხდა ესწავლებინათ ინდიელებისათვის რკინის მოპოვება და დამუშავება, ტექნოლოგია, რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე რბილი ლითონების დამუშავება. ის რკინის ნაკეთობები, რომლებიც მათ დარჩათ ამერიკის კონტინენტზე 500 წლის განმავლობაში (კოლუმბის მისვლამდე) განადგურდებოდა.

პერუში ესპანელებს დატყვევებული ინკა ატაულპას გამოსახსნელად 6 ტონა ოქრო და 12 ტონა ვერცხლი მიუტანეს, ხოლო აცტეკების ბელადის მონტესუმას ხაზინაში ორტონანახევარი ოქროს ნაკეთობები ინახებოდა.

საერთოდ, პერუში ძვირფასი ლითონების მოპოვება-დამუშავება მაღალ დონეზე იყო, აქ კი ეს პროცესი სამრეწველო დონეზე ტარდებოდა.

დღევანდელი მეცნიერები ცდილობენ პასუხი გასცენ კიდევ ერთ კითხვას. დავუშვათ, რომ ევროპაში კოლოსალური ტაძრების მშენებლობისთვის საჭირო ვერცხლს ტამპოლიერები მექსიკიდან ღებულობდნენ ლაროშელის ნავსადგურში, მაგრამ სად წავიდა მათი 17 გემი, რომელზედაც დატვირთული იყო მთელი მათი ქონება და საიდუმლო არქივები? მათ რომ იცოდნენ ცენტრალური ამერიკის არსებობა, ეს ფაქტი დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, ისინი ხომ მჭიდრო კავშირში იყვნენ ვიკინგების შთამომავლებთან.

როდესაც სიტუაცია დაიძაბა და საფრანგეთის მეფის და რომის პაპის კავშირი მათ მოსპობით დაემუქრა, ორდენის რაინდებმა დაიწყეს ფიქრი საიმედო თავშესაფრის ძებნაზე, რაზეც მათ არჩევანი მექსიკის ნაპირებზე შეაჩერეს. უეჭველია, ტამპლიერები ფიქრობდნენ, რომ ეს მათი დროებითი თავშესაფარი იყო და მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ ამაოდ. ორდენი სამუდამოდ გაქრა. ოკეანისაგან იზოლირებულთ შეეძლოთ წყურვილი მოეკლათ მხოლოდ დაპყრობითი ოპერაციებით და მათი სარწმუნოების გავრცელებით, მაგრამ დრო მიდიოდა და გარდაცვალებულთა ადგილს არავინ იკავებდა. მათი ამ სანაპიროებზე გადასვლიდან 50 წლის შემდეგ კი მექსიკაში არც ერთი თეთრკანიანი ადამიანი აღარ დარჩა.

წმინდა ჯვრის - წმინდა სავარდის კათოლიკური ეკლესია ახალციხეში

პროფ. ნატო ყრუაშვილი ადამიანთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელნიც მორიდებულად, წყნარად ცხოვრობენ, მაგრამ ფუტკარივით შრომობენ და ყოველგვარი რეკლამის გარეშე ეწევიან მძიმე მეცნიერულ კვლევა-ძიებას. აგერ უკვე სამი ათეული წელი იქნება, რაც სამეცნიერო საზოგადოება განებივრებულია მისი საარქივო მასალით დახუნძლული და მაღალი მეცნიერული ანალიზით გაჯერებული მონოგრაფიებით და სტატიებით. ახლახან გამოვიდა ამაგდარი მეცნიერის მონოგრაფია „წმინდა ჯვრის – წმინდა სავარდის კათოლიკური ეკლესია ახალციხეში“, პირველ ნაწილში წარმოდგენილია მესხეთის, ახალციხის ისტორიის მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი მიმოხილვა. მეორეში კი ამ ეკლესიაში მოღვაწე მღვდლების ბიოგრაფიები და ცნობები მათი საქმიანობის შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამოყენებული აქვს ამ თემაზე პროფ. თ. იველაშვილის, დ, კოჟორიძის, გ. ბოჭორიძის, შ. ლომსაძის, მ. ბახტაძის, მ. ქუთათელაძის და სხვა ავტორთა მიერ შექმნილი შრომები;

პროფ. ნატო ყრუაშვილი მართებულად იქცევა, როცა ახალციხის წმ. ჯვრის – წმ. სავარდის ეკლესიის წარსულს მესხეთის, ახალციხის ისტორიის ჭრილში განიხილავს. აღიარებულია, რომ მესხეთს საქართველოს სამხრეთის კარიბჭეს უწოდებენ. ამ სახელწოდებამ გამახსენა რამდენიმე წლის წინ ერევანში გამოცემული კრებული, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „სომხეთის კარიბჭე – ლორე, ჯავახქი“ (სომხ. ენაზე), სტატიების კრებული. მასში მოთავსებული ყველა „ნაშრომის“ შინაარსი და დასკვნა „ღაღადებს“, რომ ჯავახეთი არის უძველესი სომხური მინა, რომელიც ქართველებმა სტალინის წყალობით მიისაკუთრეს. რაც შეეხება იქ არსებულ ეკლესია-მონასტრებს, ისინი არიან სომხური კულტურის ორგანული, განუყოფელი ნაწილები...

გამართლებულია ავტორის მიერ მესხეთის ისტორიის საფუძვლიანი მიმოხილვა და თვალნათლივ ჩვენება იმისა, რომ მესხეთი (ჯავახეთი) იყო და არის საქართველოს უძველესი მხარე – ქართველი მეფისწულის ჯავახოსის კუთვნილება. ეს იმ დროს, როცა არც მოსე ხორენაცი არსებობდა და არც იშტოიანი!

პროფ. ნატო ყრუაშვილს დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები ჯავახეთის ადგილი, მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისიც ცნობილია და ამაზე არავინ დავობს, გარდა ზოგიერთი სომეხი მეცნიერისა, ამ კუთხემ აქტიური როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოს ნარმოქმნა-ჩამოყალიბებაში, VIII–IX საუკუნეებში შექმნილ სამთავროთა შორის დანინაურდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, რომელიც ქართული სამეფო გახდა, ხოლო მეფეებმა ქართველ მეფეთა ტიტული მიიღეს. იგი გაძლიერდა აშოტ I კურაპალატის დროს. მის შემდეგ ამ კუთხეს მისი შვილები განაგებდნენ. მემატიანის ცნობით, „მისმა უმცროსმა ვაჟმა გუარამ მამფალმა IX ს-ში სამცხეში დააარსა სამი ქალაქი – ოძრხე (აბასთუმანი), ციხისძირი და ლომსია – შემდეგში ახალციხედ წოდებული“ (გვ. 11).

პროფ. ნატო ყრუაშვილი გვახსენებს შალვა ახალციხელის გმირობას. ამ მარადიული სიმამაცის სიმბოლოს სახელი გამოიკვეთა 1225 წელს გარნისთან (სომხეთი) ჯალალედინის ლაშქართან ქართველთა მიერ გამართულ ბრძოლაში 200 000 ათასი მაჰმადიანის წინააღმდეგ 6000 ქართველი (აქედან 4000 მესხი) თავგამოდებით იბრძოდა. ამ ბრძოლის შესახებ ჟამთააღმწერელი გვაუწყებს – „ძლიერად მბრძოლოდეს შალვა და ივანე ახოვანთა და ძლიერთა სრვიდეს. და ვითარ შენივთდა ძლიერი ომი, ხრმალნიც, ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა, ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ და ივანე გარნისისა კლდეთა შეტოლვილი ზენა კერძო მიტევებულთა ქვითა მოკლა“ (ქც, ტ. II, გვ. 95–96).

ქართველთა ლაშქარს ივანე ათაბაგი მეთაურობდა, შალვა ახალციხელი ლომივით იბრძოდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი ქნა და მალემსრ-



ბოლი გააგზავნა მთავარსარდალ ივანე ათაბაგთან და დამხმარე ძალების გამოგზავნა სთხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, რატომღაც, თავი შეიკავა და დამხმარე ძალა არ მიაშველა...

შალვა ახალციხელი ტყვედ ჩავარდა, გარკვეული დროის შემდეგ ჯელალედინმა მისგან ისლამის მიღება მოითხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო, ქართველი გმირი ხმლით აჩეხეს. შალვა ახალციხელი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ჩემდა სამარცხვინოდ, ამ ნაშრომიდან გავიგე ქართული ხალხური სიმღერის „შავლეგოს“ პროტოტიპი ყოფილა შალვა ახალციხელი. ეს წყაროების საფუძველზე დაუდგენია პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს, სამცხე მაინც განაგრძობდა ბრძოლას მომხდური მტრის წინააღმდეგ: კოხტასთავის შეთქმულება (1247–1249), 1259 წლის დავით ულუს აჯანყება და სხვ. ამ დროს ჯაყელებმა გადადგეს სეპარატისტული ნაბიჯი და მათი სამთავროს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დედა-სამშობლოს ეროვნულ სხეულს პირველებმა მოწყვიტეს. ეს მოხდა 1266 წელს.

ავტორი ერთგვარად ნამუსს წმენდს ჯაყელებს და აღნიშნავს ამ გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის წვლილს ქართული კულტურის, სამართლის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. ეს ფაქტია და ამის უარყოფა არ შეიძლება. ამ პატრიოტი ჯაყელების დამსახურება ქართველი ერის წინაშე სათანადოდ არის შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მაგრამ გონებაში წამოტივტივდა მესხეთის დიდი მოჭირნახულის და ამაგდარი პატრიოტის პოეტისა და ისტორიკოსის, შოთა ლომსაძის მიერ ჯაყელთა გვარის შეფასება: „1828 წ. 16 აგვისტოს ახალციხე რუსეთის იმპერიის ქალაქად გადაიქცა. გაუქმდა ახალციხის საფაშოს ტახტი, რომელმაც საუკუნეების მანძილზე გააწამა საქართველო. ამ ტახტის მფლობელ ჯაყელთა გვარის 600 წლიან სეპარატისტულ ბრძოლას შედეგიც შესაფერი მოჰყვა. ეს გვარი საქართველოს არენიდან გაქრა. ფერშეცვლილი და ყოველგვარ ეროვნულ გრძნობას გამოცლილი თურქეთში გაიქცა“.

დამერწმუნებით ტკივილით ნათქვამი სიტყვებია.

პროფ. ნატო ყრუაშვილი შემდეგ განიხილავს ახალციხის ეკლესიების წარსულის და, მათ შორის, წმ. ჯვრის – წმ. სავარდის ეკლესიის ისტორიას. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, როგორც ავტორი შენიშნავს, ძველი ეკლესიის ადგილას, რომელიც მართლმადიდებელი საყდარი იყო, ახალი კათოლიკური ეკლესიის აშენების ნებართვის საქმეში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს... (2010 წ. 7 მაისი).

შემდეგ წარმოდგენილია XVIII—XX საუკუნეებში ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესიაში მოღვაწე მღვდლების საქმიანობა ამ ეკლესიაში. ეს ყველაფერი განხილულია ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ საარქივო მასალებზე და შესრულებულია მისი უნარიანი მეცნიერული ანალიზი. გამოყენებული აქვს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის, გ. ბოჭორიძის და სხვათა ნაშრომები.

ქართული გენის გამოვლინება შეიძლება ვუწოდოთ იოსებ ხუციშვილის მიერ წიგნის საბეჭდი მანქანის გამოგონებას, ეს იმ დროს, როცა მას თვალითაც არ ენახა საბეჭდი მანქანა.

აი, რას წერს ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი):

„იქამდის მახვილაზროვანი იყო, რომ პირველში თავისთავად გამოიგონა ქართული ასოებით კალაპოტი და ერთხანად ბეჭდავდა ლოცვის წიგნებს, ვიდრე დაეშლებოდა მთავრობისაგან“.

ამავეს წერს კონსტანტინე გვარამაძე — „ის იყო ქართველების გუტენბერგი. ამ 40-50 წლის წინათ ხეზე ამოჭრა ქართული ანბანი და თავის ნაწერებს და ლოცვებს უწყო ბეჭდვა.“

იოსებ ხუციშვილმა სტამბა დაარსა მშობლიურ სოფელ ხიბაზავრში. 1838 წელს კი გადაიტანა ახალციხეში, მაგრამ მეფის მთავრობამ მას აუკრძალა სასტამბო საქმიანობა და 1847 წელს სტამბა ფაქტიურად იქნა განადგურებული.

მამა იოსები გარდაიცვალა 1890 წელს, დასაფლავებული იქნა წმ. ჯვრის ეკლესიის ეზოში, ხოლო 1976 წელს მისი ნეშტი გადასვენეს მშობლიურ სოფელ ხიზაბავრში.

მამა იოსებს გამოცემული აქვს არაერთი სასულიერო თხზულებანი.

ქართველი გუტენბერგის მოღვაწეობას სამწუხაროდ საზოგადოება არ იცნობს. არადა ჰყავს თვითნაბადი ნიჭის პატრონი, მისი მოღვაწეობის პოპულარიზაცია საჭირო და აუცილებელია.

კარგი იქნება თუ პროფ. ნატო ყრუაშვილი ამ საქმეს მოკიდებს ხელს და გამოცემს მონოგრაფიას მივიწყებული ქართველი გუტენბერგის შესახებ.

პროფ. ნატო ყრუაშვილი გვამცნობს კიდევ ქართველ მღვდლებს, რომელნიც წმ. ჯვრის ეკლესიაში მოღვაწეობდნენ – ანტონ ხუციშვილი, გრიგოლ კრუხიჭამიანთი (ხურციძე), სტეფანე ნავროზაშვილი, ნიკოლა ფირალიშვილი, ელიოზ (შიო) ბათმანაშვილი, პავლე თათანაშვილი და სხვ.

ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესიის ეზოში დასაფლავებულ პირთა ვინაობა და ღვაწლი აღწერილი აქვს ზაქარია ჭიჭინაძეს. „უთვალავნი ძველნი და ახალნი საფლავის ქვები, ქართულის წარნერებით, რომელთაც რაღა ფიქრი უნდა, რომ XVIII საუკუნეში ქართულად არავინ დააწერდა საფლავის ქვებს, რომ ქართველობის რამე ნიშან-წყალი არ სცხებოდა. ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რადგან XVIII საუკუნეში ოსმალეთში, არამც თუ ქართულად საფლავებზე წარწერა, არამედ ლაპარაკიც კი იგმობოდა და იდევნებოდა“ („კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“, 1903 წ., გვ. 16).

პროფ. ნატო ყრუაშვილი ამ ამონარიდს მართებულ კომენტარს უკეთებს: „უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზაქარია ჭიჭინაძემ წმინდა ჯვრის ეკლესიაში მოძიებული საფლავების ქართული წარწერები, სრულიად სამართლიანად მიიჩნია ამ ეკლესიის ქართული მართლმადიდებელი წარმომავლობის უტყუარ ნიშნად, რასაც, სამწუხაროდ, ეჭვის ქვეშ აყენებდნენ სომეხი კათოლიკეები“ (გვ. 36).

ვფიქრობთ, კომენტარი ზუსტია და რეალურ სინამდვილეს ასახავს.

ცნობილია, რომ ახალციხის ფაშას შერიფ ჯაყელის კარზე იმყოფებოდა ერეკლე II-ის მსაჯული სოლომონ ლიონიძე – „სოლომონ ლიონიძე 1811 წელს გარდაიცვალა შავი ჭირით. დაკრძალეს წმინდა ჯვრის ეკლესიის ეზოში“ (გვ. 381) – წერს პროფ. ნატო ყრუაშვილი.

აქ მსურს მცირე წიაღსვლა გავაკეთო – ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების, უფრო სწორად, ანექსიის წინააღმდეგ სიკვდილამდე იბრძოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ ლიონიძე.

რაც შეეხება სოლომონ ლიონიძეს, ის შავი ჭირით კი არ გარდაიცვალა, არამედ ბერძენი ეროვნების მზარეულმა მოწამლა. ეს დაადგინა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის ვისი დავალებით მოკლეს რუსებთან დაუცხრომელი მებრძოლი პატრიოტი... ბედის დაცინვაა სოლომონ ლიონიძე და დეკანოზი პავლე შაჰყულიანი (შავგულიანი, როგორც თანამედროვენი ეძახდნენ) გვერდიგვერდ, წმ. ჯვრის სასაფლაოზე დაკრძალეს.

დეკანოზი პავლე შაჰყულიანი თავგამოდებით იბრძოდა ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში მღვდელმსახურების სომხურ ენაზე აღსასრულებლად. რუსეთის დახმარებით მიაღწია კიდეც... სამწუხაროდ, მას მხარი აუბა ვატიკანმა. ეს იყო ანტიქართული ღონისძიება, რომელსაც მოყვა ზოგიერთი ქართველის დენაციონალიზაცია. ამ კანონს ყველა ქართველი მღვდელი არ დაემორჩილა და წირვა-ლოცვას ძველებურად, ქართულად ასრულებდა. ამათგან ერთ-ერთი იყო ივანე გვარამაძე.

პროფ. ნატო ყრუაშვილი ვრცლად მიმოიხილავს ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) მრავალმხრივ მოღვაწეობას, რომელიც შედგება ეთნოგრაფიული, ლიტერატურული, ლექსიკური, მთარგმნელობითი დარგებისაგან.

პროფ. ნატო ყრუაშვილის მონოგრაფია „წმინდა ჯვრის – წმ. სავარდის კათოლიკური ეკლესია“ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის კარგი შენაძენია.

ელისო ელიაძე

გიორგი V ბრწყინვალე

◀ დასაწყისი გვ. 1-3

შე მეფისა და მიიღო იერლაყი შეწყალებისაი და აღსრულები ყოვლისა სათხოვლისა მისისაი. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“. ეგვიპტის სულტანმა შეასრულა გიორგი მეფის თხოვნა: დაუბრუნებიათ ქრისტეს საფლავის კლიტენი და გაუუქმებიათ ქრისტიანთა შეურაცხმყოფელი წესი ცხენზე ამხედრებისა. გარდა ამისა, ქართველი მლოცველები გაუთავისუფლებიათ ხარკის გადასახადისაგან და ნება მიუციათ ამხედრებულები „გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ქალაქში“.

საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი V-ს საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან. ამას მოწმობს საფრანგეთისა და საქართველოს მეფეების მიწერ-მოწერა. გიორგი V საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღზრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა, მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 ათასი ჯარისკაცით“. 1332-1333 წლებში გიორგი მეფეს პატივით მიუღია საფრანგეთის მეფის წარგზავნილები (ელჩები) – რიკარდო მერჩერი (რიშარ მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი.

1204 წლიდან თამარ მეფის მიერ შექმნილი ტრაპიზონის იმპერია საქართველოს გავლენის სფერო იყო. მონღოლთა საქართველოში გაბატონების შედეგად საქართველოს გავლენა ტრაპიზონში მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ სულ არ მოსპობილა, ბიზანტიელთა და ქართველთა მომხრე „პარტიები“ ერთმანეთს ებრძოდნენ ხელისუფლებისათვის. გიორგი V-მ სცადა საქართველოს გავლენის აღდგენა ტრაპიზონში. 1332 წელს ტრაპიზონში ბიზანტიის დახმარებით გამეფდა ბასილი, რომელსაც ცოლად შერთეს ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე III-ის „უკანონო“ შვილი, ირინე. ბასილმა გააძევა თავისი ძმისშვილი კეისარი მანუილი და დახოცა ტრაპიზონის მთავრობის დიდი მოხელეები – დიდი დუქსი ლეკის ჭიჭანჭეოსი თავისი მეუღლით სარიკენათი და შვილი დიდი დომესტიკოსი ჯაბა. ისინი საქართველოს მომხრეთა პარტიის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. 1340 წელს ბასილი გარდაიცვალა, კონსტანტინეპოლის მთავრობამ ტრაპიზონში ბასილის პირველი მეუღლე – ირინე პალეოლოგოსი გაამეფა. ამან ტრაპიზონის მმართველ წრეებში განხეთქილება გამოიწვია. როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა ქართული ორიენტაციის პოლიტიკოსთა დასი. ზედ დაერთო თურქთა შემოსევა, რომლის შედეგად „დაიწვა მთელი ტრაპიზონი“. ბასილი კეისარს აუჯანყდა მისი უფროსი და, მონაზონი ანახუტლუ, რომელმაც „სამონაზვნო სამოსი გაიძრო, წავიდა ლაზიკაში ანუ საქართველოში და იქ გამაგრდა“, ორ კვირაში უკან დაბრუნდა ქართველთა ჯარით და 1342 წლის 17 ივლისს ირინე დედოფალი განდევნა და თავად გამეფდა. ქართველთა ჯარის ნაწილი იქვე დარჩა, რომელთა დახმარებით ანამ მოიგერია ბიზანტიელთა ერთი შემოტევა, რომლის მიზანი ანას ჩამოგდება და მიხეილ კომნენოსის გამეფება იყო. ანახუტლუმ მხოლოდ წელიწადი და ორი თვე იმეფა. 1342 წლის სექტემბერში ბიზანტიის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა და კეისრად იოანე მიხეილის ძე კომნენოსი დასვეს. ანახუტლუ და მისი მომხრეები სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამ მარცხისა, საქართველოს ორიენტაციის პოლიტიკური დასი შემდეგაც აგრძელებდა ხელისუფლებისთვის ბრძოლას.

გამორჩეული ქართველი ხელმწიფე 1346 წელს გარდაიცვალა. მის მოღვაწეობას იმთავითვე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი პოლიტიკოსები და მთელი ქართველი ხალხი. რომ ქართველ მეფეთაგან მხოლოდ მას უწოდეს გამორჩეულად – „ბრწყინვალე“. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა „ხოლო ამისთვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებარო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქურივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანატლნა, ხოლო რანი, შარვანი და მოვაკანი მოხარკედ ჰყვნა თავისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ჰანდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა...“

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გიორგი ბრწყინვალეს ბრძნული პოლიტიკის წყალობით მარტო პოლიტიკურად კი არ გაჯანსაღდა და სახელმწიფოებრივად გამაგრდა, არამედ ეკონომიურადაც მოღონიერება დაიწყო და ქონებრივადაც დოვლათიანობა დაეწყო. საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლისა და არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში, ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორიც გიორგი V ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება, როგორც ქართულს, ისევე მეზობელი ქვეყნების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა.

სულხან კუპრაშვილი,
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მატიანე

რომანოვების კანცელარია. ამჟამად ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. XIXს-ის 90-იანი წლები. სურათი დაცულია ამავე მუზეუმში.

 წეს-ჩვეულებები

გლოვისა და დაკრძალვის წესები ჯავახეთში

მთხრობელმა თავის გადმოცემაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „მიცვალებულის გლოვა-დაკრძალვის“ საკითხში მღვდლის მოვალეობაზე და ისიც კი დაამატა, რომ „პურის ჭამის წინ პირჯვარი რომ არ გადავიწერო, გემოს ვერ ვატან და თითქოს მუცელში არაფერი ჩამდისო“.

ძველად მღვდლის აღსარების გარეშე მიცვალებულს სამარეში არ ჩაუშვებდნენ. აღსარებამდე მღვდელი ოჯახს აკურთხებდა, მოსანათლს მონათლავდა და შემდეგ კი იზრუნებდნენ მიცვალებულის განსვენებაზე. განსვენების შემდეგ, როცა ხალხი მივიდოდა კვდრის პურის ჭამაზე, მღვდელს უნდა შეელოცა მაგიდა, მერე კი ხალხი ხელს მოკიდებდა პურის ჭამას. ამ საკითხში ყველა ცერემონიაში პირველი სიტყვა მღვდელს ეკუთვნოდა, რადგან „ადამიანი ღვთის შვილია“, მისი მსახური კი მღვდელია – ეკლესიის მსახური, ყველამ მას უნდა მოუსმინოთ, დავუჯეროთ, რომ ღმერთმა არ დაგვძრახოს.

მთქმელი სარა მაისურაძე, 84 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ, ოკამი

სიკვდილის წინ დატოვებული ანდერძი

ხნიერი პიროვნება მამამთილი თუ დედამთილი, ე.ი. ოჯახის უფროსი, დაიბარებდა შვილებს, რძლებს და მათ უტოვებდა ანდერძს შემდეგი სიტყვებით: „შვილებო, კარგად იყავით, ტკბილათ იყავით, იქონიეთ სიკეთე ურთიერთშორის, ნათესავებს შორის, მეზობლებს შორის, ყველას პატივი ეცით, არ გაალანძღინოთ თავი, თქვენ სხვას ცუდს ნუ ეტყვით, თუ ვინმემ უადგილოდ სიტყვა გითხრათ, ეს თავიანთი თავის ლანძღვაა, იბრძოლეთ და პური ჭამეთ, სხვის ქონებაზე თვალი ნუ გექნებათ, გიხაროდეთ სხვისი წარმატება, არავისზე არ შეგშურდეთ სხვისი წარმატება, გაიხსენეთ ღვთის წყალობა, ყოველთვის ჭირში და ლხინში ღმერთი გაიხსენეთ“. ბოლო ანდერძი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „მიხედეთ ერსა და თქვენს შვილებს!“

მთქმელი მაიკო ხუციშვილი, 83 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ. ქილდა (ოკამი).

***

როგორც სხვაგან, ისე ჯავახეთში იციან კვდრების ხსენება წელინადში ერთხელ. სოფლის საერთო წესით, მაგრამ სხვადასხვა სოფელში, სხვადასხვა დროს, აღდგომის წინა პარასკევს (სოფელ კოთელიაში), აღდგომის მეორე დღეს (სოფელ ხოსპიოში), აღდგომის დღეს (სოფელი მურჯახეთი და სხვ.) მათ პატივსაცემად თუ ოჯახს ახალ კვდარს ორმოცი არ შეუსრულდა და საერთო წესით სასაფლაოზე გასვლამ მოუწია, იმ ოჯახის წევრებს არა აქვთ უფლება სასაფლაოზე გასვლისა საერთო ხალხთან, იმ წესს ოჯახი განაგრძობს მომავალი წლიდან.

მთქმელი სოფიო ნათენაძე, 64 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ. გოგაშენი.
ჩაიწერა აპოლონ აბრამიძემ 1990 წელს

მიყვარხარ, ქალო, ლამაზო!

მიყვარხარ, ქალო, ლამაზო,
ყვავილო გაზაფხულისა,
სხვის გულის გამხარებელო,
მამკვლელო ჩემი გულისა.
თალხკაბა იადონი ხარ,
ფრთამოფარფატე პეპელა,
იწამე ღმერთი მაღალი,
გამოიხედე ჩემკენა.
ნეტავ რად მინდა სიცოცხლე, –
უშენოდ ვიარებოდე?
დაუსრულებელ ფიქრებით,
მუდამ რომ მენატრებოდე?
გამიდიადე გრძნობები,
აზრი ამქვეყნად ყოფნისა,
შემასვი ტკბილი ნექტარი
ამ ტიალ წუთისოფლისა.

გზა უსასრულო როდია

გზა უსარულო როდია,
მიდის და სადღაც სრულდება,
ასეა წუთისოფელი
ვინც მიდის, აღარ ბრუნდება.
ზოგს ვალი რჩება მამულის,
ზოგს სიგარეტი ნისია...
ღმერთო, ნუ მავლევ უსაქმოდ,
არა მქნა საძრახისია.

ვარძიავ, დიდო ვარძიავ!

ვარძიავ, დიდო ვარძიავ!
შენ, სიამაყევ ერისა,
დიადო ქართველთ საუნჯევ,
ქალაქო თამარ მეფისა.
გიცავენ სალი კლდეები,
დილის მზის სხივი გშვენისა,
გეალერსება ნიავი,
ჭაჭკრის და გოგაშენისა.
ძარღვებში სისხლი აჩქეფდა
ყაყაჩოების ფერისა,
კვლავ ბასიანი მეძახის, –
ხმა წინაპართა ძვლებისა...
ბედნიერი ვარ, უფალო!
აქ რომ გაჩენა მეღირსა,
არ გავახარებ შენს მტერსა,
ქალაქო თამარ მეფისა.

***

აქ ზეცას სულ სხვა ფერი აქვს,
მზეც სხვანაირად იწვის,
მტკვარიც სხვაგვარად დუდუნებს,
ტრფობაც სხვაგვარი ვიცით.
ვერ გასცდა ჩემი ფიქრები
იემ მთიების იქით...
დრო, ტიალ წუთისოფლისა
სიცოცხლის წამებს მითვლის...
რა პატარა ვარ, რა მცირე,
ციცქნა მტვერი ვარ მიწის.

ახალქალაქის ღრეე

გხედავ და თვალნი ლაღობენ
დილის მზით დამშვენებულო,
„ოთხმოცჯერ დანგრეულო და
ოთხმოცჯერ აშენებულო.“
გიხდება ეგ სიამაყე,
ამდენი დარდის მნახველსა,
ებრძოდი შეუდრეკელად
თურქს, მონღოლსა და სპარსელსა...
იარა ბევრი შემოგრჩა,
ენა ვერ იტყვის სათქმელსა,
დღეგრძელი დაულოცნიხარ
ქვეყნად სიცოცხლის გამჩენსა.

გზაო, სად მიხვალ, ნეტავი...

გზაო, სად მიხვალ, ნეტავი,
მაგ შენი სევდა დარდითა?
თუ სატრფოს კართან მიმიყვან
მოგრთავდი სოსან-ვარდითა.
ბევრისთვის მოკლე ყოფილხარ,
ზოგისთვის – გრძელზე გრძელია,
უცნაური გაქვს ბუნება,
გაგიწყრეს გამჩენელია.

ხოსპიო

ძველი დიდება დაგნათის სხივად,[1]
გეალერსება ფარავნის სიო,
გთხოვ, მომიყევი ამბავი შენი,
მრავალტანჯულო ძველო ხოსპიო.
როგორ მოხვედი ასე ტანსრული,
როგორ გაუძელ ქარებს ორპირსა?
როგორ აზიდე ცამდე ლოდები,
როგორ შეამკე „ხევი ოსპისა?“
მე მიხარია შენი ნათელი,
შენი ძახილი გულს მემღერება,
ქართული სულით გაბრწყინებულო,
ო, ნურასოდეს ნუ გეწყინება.

დამაბეჩავე სიკვდილო

დამაბეჩავე სიკვდილო,
შავი ჩამაცვი ტანზედა,
ვინც გსურდა ყველა წამართვი,
ცრემლი მადინე თვალზედა.
რადა ხარ ასე უგულო,
რად მომექეცი ავადა?
უფლის გაჩენილ სიცოცხლეს,
რად ეშურები ხარბადა?
რატომ დამტოვე მარტო და,
რად დამითუთქე გულია?
ნუთუ არა გყავს პატრონი,
არ იცი სიყვარულია?
რადა ხარ დაუნდობელი,
ასე ბოროტი სულისა?
რად არ გახარებს ამქვეყნად
სიცოცხლის სიხარულია?
დრო მოვა შენც კი მოკვდები,
„შემდგარი მრუდსა გზაზედა“,
ნეტავი უფლის წინაშე
წარსდგომას როგორ გაბედავ?

ჯავახეთო

მე მიყვარს შენი ქარაფი,
აბულის თეთრი გვირგვინი,
მიყვარს ფარავნის ჩურჩული,
ზვრებზე ყვავილთა ბიბინი.
მიყვარს ჟღალჩოხა ტაძრები
გაბრწყინებული ნათელით,
მიყვარს ყანები ზღაპრული,
გახარებული ქართველით.
მე მიყვარს შენი ზეგნები,
ცა ზურმუხტების ფერისა,
მიყვარს ნიავი ტანსრული,
დაუშრეტელი ტბებისა.
მე მიყვარს შენი ასული,
ღიღილო ლურჯი მთებისა,
მიყვარს ფუტკრების ზუზუნი,
ნექტარი გოგაშენისა.
მე მიყვარს შენი წყარონი,
გამხარებელი გულისა,
მიყვარს ნაზამთრალ ხნულიდან,
სურნელი გაზაფხულისა.
მე მიყვარს შენი რიჟრაჟი,
თეთრი ნისლები დილისა,
მიყვარს ტირიფთა რიგები,
ფარავნის წყალვარდნილისა.
„ჭკუა ვერ მიდგა ჭკუასთან“,
შენი გაზრდილი შვილისა,
იხარე მრავალჟამიერ,
დღე გაგიმრავლდეს ლხინისა.

ავტორ-მთქმელი ელდარ ზაზაძე,
43 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტის
სოფელი ტოლოში

[1] გადმოცემის თანახმად, მესხეთში, თურქთა ბატონობის დროს, ერთ თურქ მოხელეს ხოსპიოს ქვემო ეკლესია კოშკად გადაუკეთებია და თავადაც იქ დაბინავებულა, რასაც ღვთის რისხვა მოჰყოლია, – ხოლერა გაჩენილა და ხალხი ამოხოცილა... 1970-იან წლებში ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა, კოშკი მოხსნეს და ეკლესიას თავდაპირველი სახე დაუბრუნეს.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com